



ქვეყნის
ქვეყნისთვის

X. ყოველკვირეული გაზეთი. X.

№. 51

კვირა, 15 დეკემბერი 1902 წლისა.

№. 51

გაზეთის ფასი: ერთი წლით თიფლისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თიფლის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან.
ხელის-მოწერა მიიღება: თიფლისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანტელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სხვა-რის ქუჩაზე, № 35.
ტელეფონი № 734.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция «КВАЛИ».

შინაარსი: მეურნე და მეურნეობა, გ. მარშალაძისა — შინაურა მიმოხილვა. — სხვა და სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — სამთარში, ლექ. ი. კვ-დოშვილისა. — მთავრან დაშეს, ესკიზი აა კაკაძისა. — სამწუხ. შე-დეგ. ზნოვინ. ცხოვრ. ნ. კაკალიშვილისა. — შავი ქვის სამეფოდან, ეულისა. — შიღ. ზოეზ. ძირ. თვისებანი, ი. გამართედისა. — ჟურ-ნალ-გაზეთებიდან. — წერ. რედ. მიმართ. — განც.

საბოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახაზებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.
გაზეთი წლიურად ღირს თიფლისში 7 მან., თიფლისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თიფლისში 3 მ. 50 კ., თიფლისს გარეთ 4 მან., სხვა სხვა თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შუროთ.
ადრესის გამოცვლა თიფლისს გარეთ ღირს ორ აბახათ.
ხელის მომწერებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.
ხელის მოწერა მიიღება: თიფლისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანტელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად ახსურაბის ქარვასდა), რკინის გზის სადგურზე ზირკული კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარ-ტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.
ქუთაისში: მატროფანე ლაძისთან, ვ. ბუჯანიაშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგბის კაფესში; ბათუმში სწორიდან ტელიძის წიგნის მაღაზიაში; ახურგეთში და ახალსკ-ნაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კა-ლისტრატე ჭიჭინაძისთან და გენასიმე ბერაძისთან; ევრიდაში—ივანე არდიშვილთან; დაბახანში—სახალხო სემკითხველში. ძველ-სენაკში—არსენ წითელიძისთან; ახურგეთში—დამენტი შავიშვილ-თან; საბუნხაში—დამიტრა მელაძისთან.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция «КВАЛИ».

მეურნე და მეურნეობა.

III

როგორც მეორე წერილში ვთქვით, მეურნეობის განვი-თარება აუცილებლად მოითხოვს მოშლოს იმ ზღუდებისა, რომელნიც მას წინ ეობობიან და გასაქან გზას არ აძლევენ.

ეს ზღუდებია—ძველი უფლებრივი განწყობილება. რუსეთის თითქმის ყველა სამეურნეო კომიტეტები ამ მთავარ დაბრკო-ლებაზე ათითებენ და მის შეცვლას თხოულობენ. თავის მხრით მთავრობაც შინჯავს გლეხთა დებულებას და ფიქრობს სოფ-ლის იურიდიული პირობები დროთა მოთხოვნილებას შეუფერ-ოს. ბევრი იმ აზრისაა, რომ სოფლის საქმეში ყველა წოდება თანაბარ მონაწილეობას უნდა ღებულებდესო. ასეთივე მიმ-დინარეობას ვამჩნევთ ქალაქებშიაც. აქ დაბალ მოქალაქეთა წოდება უკვე მოისპო და შეშინები აღიარებულ იქნა სრულ მოქალაქეთ. ამისათვის მათი გამგეობაც გაუქმდა და საქმეები გადაეცა ქალაქის თვითმართველობას. ყველა ეს იმდენ-ნათ საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანია, რომ საქი-როა ქართველმა მკითხველმა მანე ქეშარიტი წარმოდგენა იქონიოს. მას განვიხილოთ, რას შეიცავს ეს, საიდან მოდის და საითკენ მიდის.

ფეოდალურ და თავად-აზნაურულ წყობილებაში მთელი ერი დაყოფილია მრავალ ჯგუფათ, რომელნიც ერთი მეორე-საგან განსაკუთრებითი უფლება-მოვალეობით განსხვავდებიან. ეს ერთნაირი კბეა, რომლის საფუძურნი ამ ჯგუფთ წარმო-ადგენენ და რომელზედაც რამდენათ მალლა აიკვლით, იმდენ-ნათ მატულობს უფლება და კლებულობს მოვალეობა, ის, რაც აკრძალულია დაბალ საფეხურზე, ნება დართულია მაღალზე, ხოლო ის, რაც სავალდებულოა დაბალზე, სრუ-ლიათ არ არსებობს მაღალზე. ეს არის ხანა წოდებრივი უფლებებისა, გერმანულად Standrecht-ით წოდებული. თა-ნახმათ ამისა საზოგადოება ნაწილდება შემდეგ უმთავრეს ჯგუფებათ: 1, მეფე ანუ მთავარი და მისი სასახლე; 2, ერის-თავი ანუ დიდი მებატონე; 3, თავად-აზნაურობა; 4, მოქა-ლაქენი; 5, თავისუფალი პირნი, როგორც მაგ. მოხელე, ექიმი, მასწავლებელი და სხ. აქვე შედის აზატი გლეხი. 6, ყმები, სახასო, საეკლესიო და საბატონო. სასულიერო წო-დება თავის მხრით ნაწილდება და თვითოეული ნაწილი ემ-ბრობა ამ ჯგუფთა ერთ-ერთს. ეს ექვსი რიგი კიდევ უფრო წვრილ ჯგუფებათ ნაწილდება და თვითოეული ჩაყენებულია

განკერძოებულ ზღუდეებში. ქართველ ყმას, ბროსესის სიტყვით, 120 სხვა ზ სხვა ნაირი გადასახადი ემართა. ყმათა შორისაც დიდი განსხვავებაა, ზოგს მეტი უფლება აქვს (სახასო), ზოგს კი ნაკლები (საბატონო); ერთს ბატონის მართებს, მაგ. უკულო ღორის მოყვანა, ან ქორის მორთმევა და მეტი არაფერი, მეორეს კი კვირაში 6 დღე ბატონისთვის უნდა ემუშავა და ის ერჩინა.

აი როგორ ახიბულ-დახიბულია მთელი ერი. აქ ყველაფერი უნცროს-უფროსობაზეა აშენებული. ყოველ ადამიანს თავისი საქმე აქვს მიჩენილი, განსაზღვრულ პირობებშია ჩაყენებული, ჩარჩოშია ჩადებული, ხელ-ფეხი აქვს შეკრული — ერთი სიტყვით გასაქანი არ აქვს, გინდა თუ არა, აი ასე იმოქმედე, ასე იარე, ასე იფიქრე და ასე იცხოვრეო. აქ პიროვნება ჩამქრალია, ძალა და ენერჯია მისუსტებულია, შრომის მოყვარეობა მიღებულია. ადამიანის ღირსების ერთადერთი საწყაო ჩამომავლობაა: რაც უფრო მეტი ბრწყინვალე გვარის ხარ, მით უფრო მეტი ძალა და უფლება ხელთ გიპყრია. ასეთი იურიდიული განწყობილება ერთიანად აგებულია შესაფერ კონომიურ განწყობილებაზე. აქ ქონება და უფლება ერთმანეთს შეესაბამება. მებატონე ბატონია არა მარტო უფლებით, არამედ ქონებითაც. გლეხი ყმა უფლებითაც და ქონებითაც. მარა აი, ყმათა მსვლელობაში ნივთიერი ურთიერთობა შეირყა, ქალაქური ცხოვრება გაძლიერდა და მოხდა აქ ახალი ქონებრივი განაწილება. უფლებით დაბალ საფეხურზე მდგომი ქონებით მაღალ საფეხურზე ავიდა, ხოლო მაღალ საფეხურზე მდგომი ქონებრივად დაბლა დაეშვა და პირველის ყურმოჭრილი მოვალე შეიქმნა. წარმოიდგინეთ ახლა ეს ორი კაცი: ერთი — ყველაფერი შეძლებით და არაფერი უფლებით, მეორე კი — არაფერი შეძლებით და ყველაფერი უფლებით. ფორმა უშინაარსო და შინაარსი უფორმო, საძირკველი უკედლო და კედელი უსაძირკველო. ცხადია, ეს უსწორ-მასწორობაა, ეს შეუსაბამობა და დაბრკოლება. ძველი იურიდიული მდგომარეობა წინ ეღობება ახალ ცხოვრებას და მის განვითარებას აფერხებს. აქ ყველაფერი სწუხს და სულს ღაფავს, მეურნეობა, მრეწველობა, ხელოვნება, მეცნიერება და სხ. და სხ. საჭირო შეიქმნა ყველა ამ ზღუდეების მოშლა და თავისუფალი სავალი გზის შექმნა. და სწორედ ამ დროს ჩნდება სხვა და სხვა მოძღვრება საზოგადოების მოწყობის შესახებ. რა საბუთის ძალით შეეძლოთ მოეთხოვათ ძველი წყობილების გაუქმება? ისტორიულის? უეჭველია, არა. ვინაიდან ისტორია ძველი წყობილების სასარგებლოდ ლაპარაკობს: საუკუნოების განმავლობაში ასე იყო და ასე უნდა დარჩესო. ამიტომ წამოყენებულ იქმნა სრულიად სხვა საბუთი — ეს არის ადამიანის ბუნებრივი უფლება, რომლის მოძღვრანი მეთვრამეტე საუკუნის ფიზიოკრატები იყვნენ. ესენი ამტკიცებდნენ, ადამიანი ბუნებით სრული თავისუფალი არსებაა, მას ეს თან დაყოლილი აქვს, ხოლო შემდეგ, ცხოვრებაში ეკვრება მას ხელი და თან დაყოლილი თავისუფლება ერთმევა. ველურ საზოგადოებას არავითარი კანონები, ხელ-შეკრულებები არ აქვს, აქ კაცი თავისუფლად მოძრაობს, მასასადამე ბუნება ადამიანს ქმნის თავისუფლად და ეს მისი მიუცილებელი უფლება აღდგენილი უნდა იქმნას, მოაშორეთ მას ხელოვნური ზღუდეები და ყველაფერი ჩინებულად წავაო. ცნობილი გალიანი ამბობდა: *Le monde mouve tout seul* — ქვეყანა თავის თავად მოძრაობსო. და მართლაც, ამას ჩქარა მოყვა ძველი წყობილების შეცვლა და ახლის დამყარება, წოდებრივი უფლების მაგიერ ჩადგა ერთი სამოქალაქო დებულება, საფრანგეთში წოდებული *Code Napoleon* — ნაპოლეონის კოდექსი, რომლის დედა აზრი შემდეგ გამეფდა მთელ დგსავლეთ ევროპაში. რა არის ამ ცვლილების ძირითა-

დი თვისება? მან იცის მხოლოდ ერთი კაცი — მოქალაქე, *Sitoyen, Bürger* და მეტი არაფერ. ყველა მოქალაქე, როგორც წვერი სახელმწიფოსი და შევლი ერის ქურვილია თანასწორი უფლებით ესენი დაეკრებოდა, მარა არა თანახმად წოდებისა და ჩამომავლობისა, არამედ თანახმად მოქმედებისა და ხელობისა. აქ თქვენ გკითხვენ, რა ხელობის ხართ, და არა რა გვარის ხართ.

ამ ნაირად, ძველი საზოგადოება იყოფა ჩამომავლობის დაგვარად და აშენებულია უფლებათა უსწორ-მასწორობაზე; ახალი საზოგადოება იყოფა ხელობის დაგვარად და აშენებულია უფლებათა თანასწორობაზე.

ეს ასეა დასავლეთ ევროპაში. რუსეთში ერის ძველებურად დაყოფა რამდენიმე შენგარია ბატონ-ყმობის მოსპობამ. წინანდელი კავშირი წოდებათა შორის დაირღვა. მარა ამიცა წოდებები არ დარღვეულან. სოფელში დარჩა ორივე წოდება იმ განსხვავებით, რომ ახლამათ შორის აღარ არის მჭიდრო დამოკიდებულება. თითოეულ მათგანს მიეცა საკუთარი წყობილება, საკუთარი დებულება, ორგანიზაცია ზ სხ. ასე გვონია აზნაური სოფლის მცხოვრები კი არა, სოფლის ხიზანიაო. ის ერთიანად გაშორებულია საერთო სასოფლო საქმეებისაგან. სასოფლო სამართველოს არავითარი უფლება არა აქვს სხვა წოდებაზე, თუ არ გლეხობაზე. ამით სოფელში გამეფდა დუალიზმი ანუ ორი უფლებრივი სათავე: ერთი მოწინავე წოდებისათვის, თუნდაც მრავალი მათგანი ქონებით ძლიერ დაწეული იყოს, მეორე კი დაბალ წოდებისათვის, თუნდაც მრავალი ზოგანი ქონებით მოწინავე იყოს. ფეოდალურმა დრომ ასეთი დუალიზმი არ იცის. იქ ყოველივე ერთი სათავედან — ფეოდალიდან მომდინარეობს. აქ კი ერთი მეორის გვერდით, ერთი მეორეზე დამოუკიდებლად არსებობს წოდებათა განკერძოებული უფლებრივი განწყობილება და აი სწორედ ამაზე უთითებენ დღეს რუსეთის სამეურნეო კომიტეტები. ეს აბრკოლებს მეურნეობას. ამის შესახებ გაზ. „პეტერბურგის უწყებები“ სწერენ: „გლეხთა დებულების ნაკლები განება და სოფლის ცხოვრებასთან შეუფერებლობა ყოველივე ეჭვს გარეშეა. აგრეთვე აშკარაა ისიც, რომ რუსეთის დიდ-უმრავლესობას აღარ შეუძლია განსაზღვრულ სამოქალაქო კანონების მოკლებული დარჩეს. საზოგადო „დებულებაში“ არის რალაც ნასახი ასეთი კანონისა, მარა სრულიად განუკითარებელი და განუშარტებელია. ამით დამყარდებოდა ასე თუ ისე კიდევ შეიძლებოდა მანამდე, სანამდე გლეხობა მართლა ერთ, ყოველივე სხვა-და-სხვაობას მოკლებულ, მთელს წარმოადგენდა, მზგავს რალაც სოკიოლოური პროტაოპლაზმისა. მარა აი 40 წელიწადი მუშაობს ამ ერთგვარ მასსახე და მას თანდათან ანაწილებს ეკონომიურად. გლეხი (აქა იქ მაინც) გაიზარდა, წელში გაიმართა და ბევრ ნადელის მექონე სოფელზე აიწია. მოხდა მცხოვრებთა შინაგანი ათქვეფა, თუ შეიძლება ასე ითქვას“. ხალხი დაიძრა სოფლიდან, სა-მუშაოსთვის წავიდ-წამოვიდა და „არიან ისეთი გლეხები, რომელნიც თავის საზოგადოებაში ითვლებიან, მარა წლიდან წლამდე ქალაქებში ცხოვრობენ. აგრეთვე ზოგ სამიწათმოქმედო გუბერნიებში ბევრი ოჯახი საზოგადოების წევრად ირიცხება, თუმცა კი ხანია სხვაგან გადასახლდა. ამასთანავე სოფელმა დაკარგა წინანდელი ერთ-ფერობა. მის მცხოვრებთა შორის თანდათან შედის არა-გლეხური ელემენტი, მაგ. სხვა-და-სხვანაირი მწარმოებელი, როგორც მედუქნე, ხელოსანი ან და ინტელიგენტი, როგორც მასწავლებელი, ექიმი, ფერშალი, ფოსტის მოხელე და სხ.“ ზოგმა სოფელმა დაკარგა სამეურნეო ხასიათი და გადაიქცა სამრეწველო სოფლად. ერთი სიტყვით, სოფლის მცხოვრებთა შინაური მდგომარეობა ერთიანად შეიცვალა და გადასხვავდებოდა მათი ერთმანერთნა

დამოკიდებულება. „აშკარა წინანდელი სადა წესები, 1861 წ. შექმნილი, დღეს აღარ გამოდგებიან, ისე როგორც ბალის ტანისამოსი არ გამოდგება ჯაბუკისათვის“. ასე ახასიათებს რუსული გაზეთი რუსეთის ცხოვრებას. ამავე აზრის არიან დღეს სამეურნეო კომიტეტები და ეგვიპტის ჩვენებურ სოფლებზეცაა.

ამ გვარათ, ნაციონალური წარმოების ყველა დარგის განვითარება, და მათ შორის მეურნეობისაც, უეჭველია მოითხოვს ახალ იურიდიულ კალაპოტის შექმნას...

გ. მარშალაძე.

შინაური მიმოხილვა.

სამეურნეო საზოგადოება გულ-მოდგინეთ იკრიბება იმ კითხვების გასარკვევად, თუ რა ზომების განხორციელებაა საჭირო, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება წინ წავიდეს. კრება გაცხარებით მსჯელობს ამა თუ იმ ზომის შესახებ, არჩევს მოხსენებებს და ადგენს დასკვნებს. აქ ადგილი არაა შევხვდეთ კრების დადგენილებებს. ჩვენ გვსურს ავღნიშნოთ ერთი ძირითადი პრინციპი. რომლის გარშემო ტრიალებენ სულ ყველანი და რომელიც კრებას ყოფს ორ მეტად მკაფიო ბანაკად. სულ ყველანი იმ აზრისა-ნი არიან, რომ ნორმალური განვითარება მხოლოდ მაშინაა შესაძლო, როცა ხალხი ისეთ პირობებშია, რომ მასში იღვიძებს თვითმოქმედება, როცა ხალხი თვითონ მართავს თავის საქმეებს. ბიუროკრატიული რეჟიმი თვისი ფორმალისმით და უმოდრობით ვერ ასრულებს და ვერც შეიძლება ასრულოს ის, რაც შეუძლია. თვითმოქმედ ხალხს. აქიდან აშკარაა ხალხის მოქალაქეობრივი უფლებების გაფართოების საჭიროება. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რაც ერთისთვის აშკარა და ლოგიკური აუცილებლობაა, მეორესთვის თურმე ის სავალდებულო არ ყოფილა. ამის მაგალითი დავიხსენებთ ორმა მოხსენების ავტორებმა, თ. ჯანდიერმა და თ. მიქელაძემ. თ. ჯანდიერი წუხს, რომ ჯერ კიდევ ჩვენ ხალხში არაა საკმაოდ განვითარებული უფლებრივი შეგნებულობა, ხშირათ ირღვევა კერძო საკუთრების პრინციპი, არა იშვიათია მითვისება, ქურდობა და ცარცვა-გლეჯა. და ამავე დროს ამას კი არ ამბობს: მიეცით ხალხს მეტი მოქალაქეობრივი უფლება, დაუახლოვეთ მას მართლმსაჯულება, მიეცით საშვალეობა ხალხს თვითონ განსაჯოს თავისი ღუბჭირი წევრების მოქმედება. არა, ის ამბობს: ჩამოართვიტ მართლმსაჯულებას ზოგი უფლებანი და გადაეცით პოლიციასო. აშკარაა, აქ ჩვენ ვხედავთ წინსვლას კი არა, უკან დახევას. ამნაირივეა თ. მიქელაძის აზრებიც. ის ეხება სახალხო კრედიტის მოწყობის საქმეს. მას გაუთვალისწინებია ამ საქმის მდგომარეობა ევროპის ქვეყნებში და ერთათ-ერთა დასკვნა მისი ისაა, რომ იქ საკრედიტო დაწესებულებანი განვითარებულან ხალხის დამოუკიდებელი მოქმედებით, ხალხის ინიციატივით და არა მთავრობის. აქიდან ცხადია დასკვნა: გსურთ სახალხო კრედიტის საქმე განვითარდეს? — ჩააყენეთ ხალხი ისეთ პირობებში, რომ მას ინიციატივის ფრთები არ ეკვეცებოდეს, მას თვითმოქმედების ფართო ასპარეზი ქონდეს. ამავე აზრისაა ფინანსთა სამინისტროც. ხოლო თ. მიქელაძეს არ სურს აუცილებელ პირობათ დასახოს ჩვენში ის, რაც ევროპისთვის აუცილებელია. თუ იქ თავისუფლებამ გამოიწვია ხალხის მოქმედების ყოველი დარგის განვითარება, ჩვენ კი თვით მოქმედებისათვის არ გვაქვს შესაფერი პირობები, რა ვქნათ? ბელს დავემორჩილოთ და ისევ ბიუროკრატიას შევავაროთ თავიო. აი, ესაა სწორეთ პრინციპის დავიწყება, ცხოვრების პირობების უკუგდება. აქ თ. მიქელაძე ვარდება ერთ გამოუვალ წრეში.

აღხის განვითარებისთვის საჭიროა თვითმოქმედება. თვით-მოქმედებაში სუსტი ვართ, რადგან ბიუროკრატიული წესი-ერება ხელს გვიშლის, ამიტომ იმოქმედოს ისევ შევძლებოდათ ბიუროკრატიაში, ხოლო მისი ძველებური მოქმედება იმნავეს ხალხის თვითმოქმედების არ განვითარებას, და ასე. ამ გვართ ჩავარდით ერთ წრეში, სადაც უნდა მუდამ ვიტრიალოთ. საბედნიეროთ, ამ წრეში, ვგონებ, მარტო თ. ჯანდიერი და თ. მიქელაძე მოყვენ. კრების უმრავლესობა კი სულ სხვა გზას ადგა. მისი მისწრაფება ხალხის თვითმოქმედების გაღვიძებაა, მისი უფლებრივი პირობების გაფართოება. და მართლაც ეს ერთათ ერთი გზაა წინსვლისთვის. ყოველნაირი აპეკა თვითმოქმედების უარყოფაა. ხალხში უნდა ძლიერდებოდეს კანონიერების ძალის შეგნება და არა ძალის კანონიერება.

*
**

ფერის 264 ნომერში დაბეჭდილია ერთი საყურადღებო კორესპონდენცია საგურამოდან. ის საყურადღებო იმით კი არაა, რომ რამე არა ჩვეულებრივ ამბავს გადმოგვცემდეს. არა, ის მოგვითხრობს სრულიათ ჩვეულებრივ ამბავს სოფლის ცხოვრებიდან. და მით უფრო დამახასიათებელია ეს ამბავი სოფლის აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობისა. არსად ისე უფლებათა განუსაზღვრელობა არაა საგრძნობელი, როგორც სოფელში. აქ არ იცით, ვის რა ძალა აქვს, ვის რა შეუძლია მოგთხოვოთ ან თქვენ შეგიძლიათ მოსთხოვოთ. რასაკვირველია, ასეთ პირობებში საკმარისია ერთს ცოტადღეი მეტი ძალა ქონდეს, ვიდრე მეორეს, რომ ეს მეორე დაიბრიყვოს და დაჩაგროს. აქ ისიც მოსახსენებელია, რომ სოფელში არ იცის თავისი უფლება, და რომც იცოდეს, იმისთვის მეტათ ძნელია თავისი პირობების დაცვა. ამიტომაც ხშირია სოფელში ყოველნაირი ბოროტ-მოქმედება, უძლურის დაბეჩავება, მისი გაყვლეფა და მოტყუება. აქ ყოველნაირ ბოროტ-მოქმედებას ფართო ასპარეზი აქვს. ერთ ასეთ ბოროტ-მოქმედებას აქვეყნებს ზემოთ დასახელებული კორესპონდენცია. მამასახლისი აგროვეს სახელმწიფო გადასახადს, მაღაზიის ფულს და ეს შეგროვილი თანხა დანიშნულებამდე ვერ აღწევს. მამასახლისი მას ითვისებს, სოფელმა კი არაფერი არ იცის. იმას უბრძანებენ — გადაიხადეო, ისიც იხდის. მოხდება ხშირათ, რომ ის ერთ და იმავე გადასახადს აძლევს ამკრეფს ორ-ჯერ, სამ-ჯერ. და მან სრულიათ არ იცის, თუ რაშია საქმე. ხსენებულ შემთხვევაშიაც ისეა. თუ არ ერთი წევრის თავ-გამოდება, ვინ იცის, მამასახლისს ვინმე რამეს გაუგებდა თუ არა. დიახ, რომ სამწუხარო მდგომარეობაშია დღევანდელი სოფელი. მას წიწქნის და გლეჯს ყოველ გამვლელ-გამომვლელი. და ეს ყოველთვის ასე იქნება, სანამ სოფელში არ გაძლიერდება უფლების დაცვის მოთხოვნილება...

*
**

არც ერთი დარგი საზოგადო საჭიროებათა ისე ცუდ მდგომარეობაში არაა, როგორც ექიმობა სოფელში. ურიცხვი სოფელი ისეთ პირობებშია, რომ თაობა თაობაზე ასრულებს სიცოცხლეს და ექიმის დანახვა კი არ ეღირსება. მთავრობას აქვს აქა-იქ თავისი საავათმყოფოები, ყავს ექიმებიც, მარა მათი რიცხვი იმდენათ მცირედია, მათი მოქმედება იმდენათ უჩინარია, რომ არ ყოფნას ეთანასწორება. აქაც მხოლოთ ხალხს შეუძლია თვითონ უშველოს თავის თავს, გაიქირვოს და მოაწუოს თავისი ინიციატივით, თავისი ხარჯით ექიმობის საქმე. ამიტომ ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ სვირელების მოქმედებას, რომელთაც თავიანთ სოფელში დაუარსებიათ სასოფლო აფთიაქი.

*
**

ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სამეურნეო საქარობათა კომიტეტის პირველ სექციას სხვათა შორის ორი საკითხი გადაუწყვეტია. 1, სახალხო სკოლის ნაყოფიერ მოქმედებისათვის საჭიროა სწავლა ქართულ ენაზე სწარმოებდეს და 2, რუსული ენა დედა-ენის შემწეობით უნდა იქმნეს შესწავლილი და არა მუხჯური მეთოდით. აი, ასეთია სექციის გადაწყვეტილება. მერე რამ გამოიწვია ის? ნუ თუ ვინმესთვის საეჭვოა, რომ განვითარების საფუძველი დედა ენა უნდა იყოს? მაგრამ რას იზამთ? განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისს, როცა კილო-კავები თანდათან კარგვენ თავის ელფერს რ ერთ ეროვნულ ლიტერატურის მიმდინარეობას უერთდებიან, რომ ასეთ დროს ერს თიშავდენ ერთ მის შტოს და ცდილობდენ მის განცალკევებას? განა წარმოიდგენდით, რომ მას მერე, რაც მეგრელი ჩვენი მწერლობის ჩასახვიდანვე სარგებლობდენ საერთო სამშობლო ენით, დღეს მეგრულ კილოზე წიგნები იბეჭდებოდეს? სწორეთ რომ ძნელი წარმოსადგენია, მარა ფაქტი მინც ფაქტათ რჩება. და ჩვენ ისედაც შესუსტებულ კულტურას კიდევ მოულოდნელი განსაცდელი დაუდგა...

* *

ერთობ საყურადღებო კითხვას შეხებია კახეთის მემამულეთა კრება, ეს არის მნიშვნელობა წვრილი და კაპიტალისტური მეურნეობისა. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ფულით აღჭურვილი მეურნე უფრო კარგათ წაიყვანს თავის საქმეს, ვინემ უფულო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ერთ სწავლულ აგრონომს, ბ. სტაროსელსკის, სულ წინააღმდეგი აზრი მოუხსენებია კრებისათვის. „ყველამ უწყით, უთქვამს მას, რომ კაპიტალისტური მეურნეობა გაუმჯობესობის საქმეში უფრო ცუდ პირობებშია, ვინემ მცირე მემამულის, გლეხის, მეურნეობა. გლეხს შეუძლია თავისი მუშაობით გააუმჯობესოს მიწა, ამაზე იმას არავითარი ხარჯი არ სჭირდება“ და სხვ. ამაზე საფუძვლიანათ შენიშნა მეორე ორატორმა, ბ. გოგნიევმა. „შემცდარი აზრია, ვითომ კაპიტალისტური მეურნეობა უფრო ცუდ პირობებში იყოს, ვინემ მცირე მამულთან გლეხის ან სხვისა. კაპიტალისტური მეურნეობა არის დიდი მეურნეობა, მაგ. როგორც საუფლისწულო უწყების მეურნეობა. დიდ მეურნეობაში კი უფრო იაფათ ჯდება შემუშავება და სხვა ყოველი სამეურნეო საქმე, ვინემ მცირე მეურნეობაში. ეს იყო და არი მთავარი მიზეზი მამულების ერთის ხელში მოგროვებისა (კონცენტრაცია)“. და მართლაც, კინ იტყვის, რომ კახეთის საუფლისწულო მამული უფრო ცუდ პირობებში იყოს ან მოგებას არ იძლეოდეს, ვინემ არა თუ წვრილი, არამედ სხვილ უფულო მეურნის მამული. ბ-ნ სტაროსელსკი კახეთშიაც კი დარწმუნდებოდა კაპიტალისტური მეურნეობის უპირატესობაზე, რომ თვის გარეშემო მიმოცხედა და სოციალურ პირობებს ჩაკვირვებოდა. და ან საიდან შეუძლია უმამულო გლეხს შეეცილოს არა თუ მამულიანს და თან ფულიანს, არამედ ოდნავ მაინც შეიმსუბუქოს თავისი მდგომარეობა. ამის შესახებ საინტერესო სიტყვა წარმოუთქვამს იმავე კრებაზე ბ-ნ კახიძეს:

„გაუმჯობესობა. გლეხთა მამულის ყოფილად შეუძლებელია: რას გააუმჯობესებენ, რაც არა აქვთ. თელავის მაზრაში სამგვარი გლეხობა არის: დროებით ვალდებულნი, მესაკუთრენი და სახალ გლეხი. პირველთ სრულებით არა აქვთ მამული, გარდა თავ. დავ. აღ. ქაეჭავაძის გლეხებისა, რომელთაც ნადელი მიცემული აქვთ. რაც შეეხება დანარჩენთ, მათი ნადელი დაქუცმაცებულია აქა-იქა ნაქრებათ. ზოგი ნაქერი 100 ოთხ-კუთხ საყენის ზომისაა, ზოგი 150 და ძნელათ აპოვით 600 საყენიან ნაქერსა. სხვა დროებით ვალდებულ გლეხებს მარტო სამოსახლო აქვთ და ნაბატონართან გაუყო-

ფელი ერთი ბეწვა ვენახი. აბა, ამათ რა უნდა გააუმჯობესონ? ვენახი? ნახევარი ნაბატონარისაა, ისიც, ვინ იცის, იქნება აქიდანაც გამოიყვანოს ნაბატონარმა, რომ დანახალ გაუმჯობესებულს, ასე ფიქრობს გლეხი და სასულე ასეთს ფიქრისა გავლილ ცხოვრებაში მრავლად მოგვაოვება. დარბა მარტო ეზო, რომელზედაც სახლი ძლივს ეტევა და ხშირად სხვა საჭირო შენობისათვის ადგილი არ მოგვაოვება. მესაკუთრენი სულ ცოტანი არიან, სადაც არიან, იმათ წახალისება არ ესაჭიროებათ. სახალ გლეხნი ისე არიან შევიწროვებულნი ტყის უწყების-გან, რომ თვითოეული გაუმჯობესობა იწვევს გლეხისათვის ზარალს და არა მოგებას. გლეხს მიწებს შუა აქვს უვარგისი ჯაგნარი, იგი ზრდის, უვლის. დარაჯობს, გაზარდა იქამდის, რომ საჭიროების დროს ფიჩხი,—შეშა მოიჭრება. მაშინვე გაუზრდება ტყის მცველი, ჩამოართმევს, ეს ტყეა, ხელი არ ახლოვო. („ივ“. № 167).

ამას განმარტება აღარ ეჭირვება.

სხვა-და-სხვა ამბები.


ხუთშაბათს ქართულ თეატრში ბ. ვ. აბაშიძის საბენეფისოთ წარმოდგენილ იქმნა „ტარტიუფი“, მოლიერისა რეოდენ ვილ-ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებით“. პირველი არტისტებმა უხალისოთ და უსიკოცხლოთ ჩაატარეს, ბ. მესხი ტარტიუფის როლში ძლიერ კოქლობდა, მან კარგათ ვერ დაგვიხატა ტარტიუფის ფარისევლობა, მისი ორნაირობა. მან ტარტიუფი აშკარა მატყუარათ დაგვანახვა, მაშინ როდესაც მისი გაიძვერება ისე აშკარა არ არის და სწორეთ ამით იმონებს ღეთის მოყვარე ხალხს. კარგათ შეასრულა თავისი როლი ტასო აბაშიძემ და თვით ბენეფიციანტმა. ვოდვეილი ძლიერ მხიარულათ ჩაატარეს. კარგი იქნება ბატ. კარგარეთელი ხშირათ გამოვიდოდეს ჩვენ სცენაზე და ქართულ თეატრს მეტ თანაგრძნობას გაუწევდეს. საზოგადოება დიდძალი დაესწრო, ბენეფიციანტს საჩუქრები მიართვეს.

6 დეკემბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებთან იაფ-ფასიანი სასადილო უნდა ეკურთხებიათ ხელოსანთათვის, მაგრამ სასადილოს გახსნა გადაიდო სხვა დროსათვის სადგომის მოუწყობლობისა გამო.

თფილისის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა ქალაქის მოურავს დაუნიშნოს 6000 მანეთი წელიწადში, მოურავის მოადგილეს—4100 მან., გამგეობის წევრებს თითოს 3600 მან. და ქალაქის მღვანს 2000 მან. გუბერნატორმა საბჭოს ეს გადაწყვეტილება უკვე დაამტკიცა.

„ცნ. ფურც.“ წერს: ვერაზე საკვირაო სკოლის საქმე ქ-ნ ან. თუმანოვ-წერეთლის მეცადინეობით შეგენივრათ არის დაყენებული, სკოლაში მოსიარულეთა რი კვი ამ ჟამათ 150 კაცამდე ავიდა. ამ სკოლასთან გამგეს მოუწყვია აგრეთვე მოზარდ ქალებისათვის ხელ-საქმის სასწავლებლოთ ცალკე განყოფილება, სადაც ამ ჟამათ სწავლობს 40 ქალი. წელიწადში სკოლის შესანახათ სჭირდებათ 300 მან., ხოლო 200 მან. შემოწირულეებით იკრიბება. გუშინ ქ. ანასტასია თუმ.-წერეთლისამ მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ სკოლას ქალაქისაგან ყოველ წლიურ შემწეობათ ეძლეოდეს 100 მანეთის ნაცვლათ 200 მან.

ღარიბ ქალთა საექიმო დასახმარებლოთ ქალაქში განსაკუთრებით დანიშნულია ექიმი-ქალი ფომინა-ოსიპოვისა. ქალაქის გამგეობაში შეკრებილი ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ



ამ ექიმ-ქალს წარსულ თვეში 24 ქალისათვის აღმოუჩენია დახმარება. რა თქმა უნდა, ქალაქის ღარიბებმა არ იციან ექიმი-ქალის მოვალეობა, თორემ გაცილებით მეტი მიმართავდა ქბ-ნ ფომინა-ოსიპოვისას. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ექიმი-ქალი ვერაზე ღვას, მაშინ, როდესაც უფრო გაჭირვებული და შეუძლო ხალხი ამ უბნიდან გაცილებით შორს არიან.

თფილისის რკინის გზის ყოფილმა უფროსმა რობიშვილმა დავითის გორაზე შეიძინა ადგილები. ამავე დროს გამოაცხადა: თუნეკულორი გამყავსო. განცხადებამ ხალხი მეტათ მიიზიდა. რობიშვილ ადგილში მისცა 46,664 მ., ხოლო ნაწილი გაყიდა 131,836 მან. მოხერხებულმა სპეკულიანტმა ჯიბე გაისქელა და ახლა გზის გაყვანას არც კი აპირებს.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბათომში, ნავთსადგურის მუშებს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ორი კაცი მოუკლავთ და რამდენიმე დაუჭრიათ. ოსმალეთის ქვეშევრდომნი მცირე ხელფასით კისრულობენ მუშაობას. ამ გარემოებას მოთმინებიდან გამოუყვანია ადგილობრივი მუშები და ბოლოს ჩხუბიც მოხდარა.

გადასახადთა ინსპექტორების ანგარიშიდან ჩანს, რომ თფილისის გუბერნიაში მიწაზე დანიშნული გადასახადი ყველაზე უფრო უკეთესათ გლახობას შეაქვს.

ქუთაისის მაზრის, სოფელ სვირის საზოგადოებას დაურსება საკუთარი აფთიაქი.

თფილისის ბოტანიკური ბაღი იღებს პრაქტიკანტებს, რომელნიც აქ იძენენ მიწის მოვლის პრაქტიკულ ცოდნას. ამ დღეებში საკმარისათ მოემზადა და მოწმობა მიიღო ნ. ქართველმა.

„ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ თავის წევრთა შორის უკანასკნელ სხდომაზე საზოგადოების ხაზინადრათ ამიირჩია თ. ი. ბარათაშვილი.

რკინის გზის მალაზია ქალაქის ორ ექიმს დაუთვალეობა პოლიციის თანადასწრებით და აღმოუჩენია: როგორც თვით მალაზია, ისე სხვა და სხვა ადგილები სუფთათ არ არის შენახული; საყინულე, სადაც ზაფხულობით ხორაგეულობა ინახება, მეტათ ბინძურათ აღმოჩენილა; ღორის შაში ქალაქის ლაბორატორიაში გასინჯული არ ყოფილა, მაშინ როდესაც ქალაქის საჯაროდებულო წესები ამას მოითხოვს; ჰოლანდიური და შვეიცარიული ყველი, აგრეთვე ერბო ცუდი აღმოჩენილა: ლაბორატორიაში გავზავნეს და იქ გამოუკვლევიათ, რომ ერბო ქონით შეზავებული ყოფილა. ქალაქის გამგეობას განკარგულება მოუხდენია, რომ ეს საქმე სასამართლოს გადაეცეს.

ჩვენ მივიღეთ ორი ახალი წიგნი: 1, საქართველო მეტორმეტე საუკუნეში, დ. კარიკაშვილისა. წიგნი შეიცავს 155 გვ., ღირს ორ აბაზათ. 2, ცხოვრების სურათები, სილოვანისა, გამოცემული ვ. ბეჟანეიშვილისაგან. წიგნი ღირს ერთ აბაზათ.

კორესპონდენციები

სოფ. ლესა (გურია). ღვთა მდებარეობს მდინარე მდინარე-გადგობაში დ. ღანჩხუთიდან შვიდი ვერსის მანძილზე. სოფელში თავადი გურიელები ესახდენ, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინეთ გადასახლებულან მახლობელ დაბ-ქალაქებში. ახლა კი გარდა ერთი თავადისა, ოცამდე აზნაურთა, დანარჩენი გლეხებია—150 კომლადე. აქაურ აზნაურთა უმეტესობა უძველესი ვითარებას მატერიალურათ წელში გაუჩნდა და გლეხებთან ერთათ შრომის უღელში შეუბამს. ხოლო ზოგს კი სავსათ შერჩენია ადგილ-მამუელი, გლეხებში მოაზრება რამდენიმე მოსახლე, რომელთაც თავისი საყოფი მიწა-ადგილი აქვთ და სხვისადგილს მისცა დამანაც არ სჭირდებათ, მაგრამ მათი რიცხვი ისეთი მცირეა უმიწა-წელი გლეხებთან შედარებით, რომ სასვენებლათაც არ ღირს. აქაურების ცხოვრების უმთავრესი სასახრი სიძინდა და ამიტომაც ეველ მის მოყვანას ეტანება. სულ მცირე ნაწილი ამუშავებს თავის საკუთარ მიწას, ხოლო უმრავლესობა აზნაურებისა და იხდას დაღას მოსავლის შესაძენს ან და ფულათ რ—8 მ. ჰგვაჩე. თუმცა მიწა უხვათ იძლევა მოსავალს, მაგრამ იშვიათათ იქნება, რომ შშრომელს იმდენი ხვედეს, რომ ოჯახის გამოსაკვებათ ეუფს და ცოტა გასასეიფლათაც გადაჩენს. ამ გვარათ, რახან უმეტესობა სიძინდასაგან ფულათ არას გამოუღებს, მრავალი სხვა და სხვა გადასახადის და სჭირდებათ დასაკმაყოფილებლათ ღმთრობით სოციალური გადას ტყეებში ხის მასალების დასამუშავებლათ და შექმდევ გააქვთ შალასტომის ტბით ნაგებით ფოთში გასაყიდათ; ზოგიც ქალაქებში მიეშურება ფულის საშოკრათ, მაგრამ ბედის მომდურაჩი სულ მცირე ნაშთით ან და სულ ხელ ცარიელნი შატარა ქადაღდის ნაკლებზე გამოყვანილი კვიტანციით ბრუნდებიან სახლში. სამწუხარო და საკვირველოა ეს კვიტანციები, მით უფრო, რომ ხანდახან, რადღა მანქანებით თავის-თავათ ბათილდებიან და დანიშნულებასაც, რად თქმა უნდა, ვეღარ ასრულებენ. განსაკუთრებით დიდი გაჭირება და სიღარიბე განიცადა ამ სოფელმა ამ ერთი წლის განმავლობაში. ამის მიზეზი იყო გასული წლის მოუსავლობა და მასთან მოულოდნელი სეტყვა გასული წლის ოკტომბერში, როცა ჯერ კიდევ უურძენი დაუკრეფელი და ღამი და სიძინდა აუღებელი იყო, რამაც ისედაც ნაკლები მოსავალი სულ გაანადგურა. აგრეთვე, ამ აქ არა ჩვეულებრივად მოვლენამ ბევრი გამოასალმა თავის მარხენალ ძროხას და ხარს, ზოგიც ცხვარსაც. შინაური ფრინგლების ხამ სინილა არ გაუშვია. მეტათ დაზიანა ხეხილი და ვენახები, ბევრი ბუფლი სრულათ გაანადგურა, ბევრიც ისე დაზიანა, რომ სანახევრათ ფოთოლი აღარ მოუხსამს, რის გამოც წელს აბრეშუმის ქაა სოფელში თითქმის არავის არ დაუსვამს. სე ამ უკუღმარომა წელიწადმა აქაური დარბების რიცხვი ერთი-ორათ გამძვავა. წელს სიძინდის კარგმა მოსავლამ აქაურნი ცოტა გამხსნევა. სამაგიერათ ხშირი წვიმები ძლიერ აღანებთ, რადგან საშუშათ და ფულის საშოკრათ ავდრის გამო ვეღარ გადას. ვენახის მოშენებას, ვეულებრივ, როგორც ვეღვან გურიაში, ისე მისდევენ, მაგრამ განადგურების გზაზე დამდარი ვენახი ყოველ-წლივ ნაკლებ მოსავალს იძლევა. თხ-ხუთ მოსახლეს მხოლოთ აქ აქვს გაშენებული დაბდარი, მაგრამ მოუკვლავობის გამო ვერაფერ სიამეღო ნაყოფს იძლევა. ამ ახლამ ხანებში აქ განცხადებები იქმნა დარბებულები, რომელთაც მასწავლებელი ცინის ორ-კლასიან სკოლისა ბ-ნი ადექსანდრე შარაშიძე აცხადებს, რომ სასწავლებლის ბაღში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის ნამუენი ვაჩები და მასთან დასძენს: მსურველს შეუძლია განსაკუთრებული შირობებით შეეკრას სკოლის შატრანს, რომელიც თავითან დაუმუშავებს საკენახე ადგილს, დაურგავს დამუნილ კენახებს და დროებით კიდევ მოუკვლის. ასეთ განცხადებას შატრანზე მასწავლებელ-ძიბადისა უმრავლესობა სინარულით მიეკება და ბევრმაც სურვილი გამოაცხადა უკანასკნელ შრომაზე, თუ კი ის ჩვენთვის სელ-მისწავლენი იქნება.

ა. დოსტი

რუსეთის ცხოვრება.

სამართლის სამსახრო სამუშაო კომიტეტი საჭიროთ სედავს სხვათა შორის შემდეგი ზომების განხორციელებას: 1) კომპერტიულ დაწესებულებათა შესახებ ისეთი კანონის გამოცემა, რომლის ძალით საჭირო არ იქნება ნებართვის აღება, არამედ საკმარისი იქნება მხოლოდ გამომცხადება დავაარსეთ კომპერტიული დაწესებულებათა; 2) ერობებში წარმომადგენლობის დაფუძნება ისეთ პრინციპზე, რომელიც უარყოფს წოდებრიობას; 3) წვრილი საერობო ერთეულის შემოღება; მისი ორგანიზაცია უნდა შეიმუშაოს თვით ერობამ; 4) ალკოჰოლის საერობო კრებებში მონაწილეობა სოფლის მამასახლისებს; 5) გამაფრთხილებელ ტენზორის მოსპობა და ბუკდვითი ორგანოების დასარსებლათ გამომცხადებითი პრინციპის შემოღება; მწერლობა ზასუხის მკვებელი უნდა იყოს მხოლოდ სასამართლო წინაშე. 6) მძიმეებელ მოსამართლეების არჩევნების დაწესება, 7) სოფლის მუშათა და დამჭირებულთა შორის ურთიერთობის კანონებით განსაზღვრა, როგორც ეს არის სამრეწველო დაწესებულებებში; 8) სოფლის მუშების დაზღვევა დასახინებისაგან და მოხუცთა და უძლეურთათვის ზრუნვა; 9) მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების ორგანიზაცია ერობებთან ბიუროს დაწესებით; 10) გლეხობის საზოგადო მოქალაქეობრივ ცხოვრებაში გათანაწილება, 11) სოფლის ურთიერთობის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა შინაურ საქმეებს მარცხობაში; 12) ზიარებების და ოჯახის უფლებების დაცვა სოფლის ურთიერთობის უკანონო საქციელისაგან, 13) გაროზგვის მოსპობა, 14) ზასხორტული სისტემის სრული გაუქმება.

— ხარკვში მთა-მადნის მრეწველთა კრებამ გადაწყვიტა გადადგას თავის თანხიდან 40,000 მანეთი მთა-მადნის დასახინებულ მუშებისათვის არსებულ ფონდის მოსამატათ ყოველ ვაკობზე დაწესებულ გადასახადის გარდა და მასთანვე დაადგინა ყოველი ფონდის მიხედვით იხმაროს, რომ რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს მთა-მადნის მუშების ურთიერთი დაზღვევის საზოგადოების წესდება.

— ზეტერბურგში შეეღებინათ პრეკტი ურთიერთი წვრილ კრედიტის საზოგადოებისა. ახლა ეს პრეკტი წარუდგენიათ ფინანსთა მინისტრისათვის. ქალაქს ახრათ აქვს ასესხოს საზოგადოებას 50,000 მან.

— კასანის საგუბერნიო ერობამ დაიწყო ყოველ კვირულ გაზეთის გამოცემა, სახელათ „Казанская газета“. როგორც თავისი ღირებულებით (გაზეთისათ წელიწადში ღირს 2 მანეთით), ისე შინაარსითაც გაზეთი ხალხში გასავრცელებლათაა გამოცემული. ძირითადი მიზეზი, რომელმაც აიძულა ერობა გაზეთის გამოცემისათვის მოეკიდას სული, ერობის და მცხოვრებთა შორის მჭიდრო კავშირის დამყარების საჭიროებაა. ამის შესახებ რედაქცია ამბობს: „ერობა, რომლის დანიშნულებაც გუბერნიის მუშაობის მოწყობა, თავის არსებობის პირველ დღიდანვე გრძნობდა აუცილებელ საჭიროებას იმ ხალხთან დახლოებისა, რომლის საჭიროებათა გამოუმხატველია ის. მხოლოდ ამ პირობებში იყო მოსალოდნელი, რომ საზოგადოებრივ თვითმართებლობის ორგანოების ზომები, რომლითაც ცდილობენ ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას, სწავლა-განათლების გავრცელებას, აქიმობის მოწყობას, ხალხში გავრცელებულ ფენ და სასურველათაც განხორციელდებოდნ. არა ერთი სასიკეთო ზომა საგუბერნიო და სამხრო ერობათა სასურველათ ვერ განხორციელდება, და ამის ერთად ერთი მიზეზი იყო ისა, რომ ხალხს არ ქონდა გათვალისწინებული ეს ზომები, არ შეეძლო მათი დაფასება, და არც მოახლოება სხვა რამე გეა ამ ზომების ხალხში გასავრცელებლათ და დასამკვიდრებლათ, თუ არ მწერლობითი ორგანო“.

— გამოქვეყნებულია განკარგულება, რომლის ძალით ემატება ჯამაგირი უანდარმთა კონპუსის მოხელეთ.

— კურსკის საგუბერნიო საერობო კრებამ გადაწყვიტა გლეხ-

თა განთავისუფლების ორმოცი წლის შესრულების გამო შემოადოს გუბერნიოში საყოველთაო სწავლება წერა-კითხვის. დღეს გუბერნიოში შეკლის გარეშე რჩება 36,000 ბავშვი. მათათვის უნდა აშენდეს 600 შეკლა, რაც მოითხოვს 600,000 მანეთს. ხარკვ განაზრახა განწილება: პირველ ორ წელიწადს დახარჯდნ წლიურათ 50 ათას მანეთს, შემდეგ ყოველ წლივ 60 ათას მანეთს, ხანამ მთელი გეგმა არ იქნება სისრულეში მოყვანილი.

— უკვე დაიწყო მოქმედება იმ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშაოს კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ გააუმჯობესონ სამხედრო სამინისტროს ტენიკურ დაწესებულებათა მუშების მდგომარეობა.

სახლვარ-გარეთ.

ივხლინი. „Петербург. Вѣд.“-ს ღონდონელი კორესპონდენტი გულისხვავ ამბებს წერს. აი საქმე რაშაა. ბურჟუაზიის ომის დროს ინგლისელ მეჭარხნებს დაუდგა დარი. ომისთვის სახელმწიფოს დიდძალი სხვა და სხვა საქონელი დასჭირდა. ამ გარემოებაში წარმოება გააცოცხლა და დროებით შეჩერა კრიზისი; უსაქმთ მყოფ მომუშავეთა ერთ ნაწილს სამუშაო მიეცა. მაგრამ აი ომი გათავდა. ომის წყალობით გაფართოვებული წარმოება თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩადგა; დადგა ხანა კრიზისისა. უსაქმთ მყოფ მუშათ რაზმს მიემატა არამც თუ მარტო ისინი, ვინც უფუკმთ დატოვა წარმოების შემცარებაში, არამედ ისინიც კი, რომლებმაც კაპიტალს დაუმორჩილეს სამხრეთ-აფრიკა.

დედა-მაწის სურგზე ყველა ქალაქებზე უმდიდრეს ღონდონში მცხოვრებთა ერთი მუსამედი დღეს ისეთ პირობებშია, რომ აუცილებლათ, როგორც ფიციურათ ისე ზნობრივით, მას გადაშენება მოკლის. ამით გარდა 100.000 კაცზე მეტი ატარებს თავის სიცოცხლეს ერთგვარ სატუსაღოებში — „ღარბთა სახლებში“ ან იღებენ სამოწყალოს თავის ბინაზე. აიკვე კორესპონდენტი ატეობინებს „Пет. Вѣд.“-ს, რომ ასეთ გადატყვებულთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით წელს თითქმის ორჯერ მეტია.

გერმანიი. ცნობილმა მეცნიერმა მომზენმა თავისუფალ მთავრეთა კრებაზე მკაცრათ გაკიცხა მთავრობა და კონსერვატორები. ესლა წერილიც გამაქვეყნა ერთ გაზეთში, სადაც იგი უფრო მეტი სიმკაცრით დაზარადას მთავრობის ესლანდელ პოლიტიკაზე და უფრო მეტის რწმენით თხოულობს ყველა ნამდვილ ოპოზიციონურ პარტიების შეერთებას; მთავრობის წინააღმდეგ. მომზენი ამბობს:

„კონსტიტუციის მოსპობის საქმე უფრო და უფრო მიდის წინ. უსინდისო ხრიკების საშუალებით კონსერვატორებმა მეტათ დახჭარეს ისეთ კანონ პრეკტის განხილვა, რომელსაც საგანგებო მნიშვნელობა აქვს, რომელიც დრმა გავლენას იქონიებს, როგორც მცხოვრებთა მთელ კლასების ცხოვრებაზე, ისე კერძო პირების ბედზედაც. ესეც არ იქმარეს — ზარაზის უფლება გერმანიის რეისსტაგში დაუქვემდებარეს თავმჯდომარის თვითნებობას, ე. ი. სრულებით მოსპეს ეს უფლება. მხელი არ არის იმის მიხედვად, თუ რა მოგვედოს...“

საჭიროა ბოლო მოედოს იმ უსინდისო და ტუუილ არაქს, კითომ... ყოველ მოქალაქის პოლიტიკური მოკვლეობა იყოს ზურგი ქაქციოს „საშიშ“ სოციალ-დემოკრატიის და მუდამ იმის ცდაში იყოს, რომ მოსპოს იგი.

იმ ბნელ და გაუვალ გზიდან გამოსასვლელათ, სადაც შეეგრება ჩვენ ესლანდელ რეისსტაგის რეაქციონერთა უმრავლესობამ, მხოლოდ ერთი საშუალებაა — ნამდვილ ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატიის ერთობა.

შე სოციალ-დემოკრატი არასოდეს არ ყუოფილვარ და არასოდეს არც ვიქნები, მაგრამ უნდა გამოტენით ვიქნა, რომ ესლა გერმანიოში სოციალ-დემოკრატი ერთად ერთი დიდი პარტიაა,

რომელსაც უფლებას აქვს პოლიტიკურ პრესტიჟზე (გაყენება-სახელ-ზე). ტალანტზე და ნიჭზე დაზარალებულ მკითხველს ვინ არ იცის გერმანიაში, რომ ბუბელის ჯგუფი რომ ელბის მხრის თორმეტ ბარონს გაუფრთხილდა, უკუდა პირველ-სარაინსკის მიღებაზე იქნებოდა თავის წყალობა.

✿ გერმანიაში ერთმა კეთილშობილმა დაარსა „იმპერატორის ჰარტი“. ამ ჰარტიის განსაკუთრებულ მიზანს შეადგენს სოციალ-დემოკრატთა და უკუდა პროგრესიული ელემენტთა წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ჰარტიის არა ოფიციალური ხელმძღვანელი თვითონ იმპერატორი ვილჰელმი.

✿ გერმანიაში შემოიღეს ახალი ტარიფი. უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე ერთობ დიდი გადასახდია გაწერილი; ამიტომ უცხოელები მწარმოებელი ადგილობრივ მწარმოებელს გერმანიაში შეტოვებენ კერძო გაუფრთხილებს. აი რატომ. ვთქვათ, რომელიმე ნივთი გერმანულ მწარმოებელს უფლება აქვს მისი, ინგლისელს 15 მან.; გერმანიაში მოტანა ღირს 4 მან. ამ შემთხვევაში ინგლისელი მწარმოებელი ამარცხებს გერმანელს. შედეგი: 1) საქონელი უფრო იაფია, ხალხს შეუძლია მეტი იყიდოს და უკეთ დაეკმაყოფილოს თავის მოთხოვნილება; საქონელიც ბევრი სიღებება. 2) გერმანული მწარმოებლები იძულებული არიან წარმოება ტექნიკურათა და კაბინეტიურათა უკეთეს შირობებში ჩააყენონ. მაგრამ ეს გზა კვლავია. ამიტომ სასულეა იმისათვის მიმართავს სისხნებულ საშუალებას. უცხო ქვეყნიდან შემოტანილ საქონელს ადებს დიდ ბაკს და ამხარაზთ გერმანულ სოფლის დიდ შეურნეს და შექარხნეს რჩება ბურთი და მოედანი. ისინი კანონის ძალით, მთავრობის წყალობით უზრუნველ ყოფილნი რჩებიან შეტოვებისგან. ამგვარ ზომებში მათ შეუძლიათ გააჭირონ მათი საქონელი. ფასებს აწევს მდიდარ მექარხნეებს და დიდ-მემაშულებებს, რასაკვირველია, უფრო გაამდიდრებს, მაგრამ უმრავლესობას კი ცხოვრებას გაუძლიერებს. ღარიბი იძულებული იქნება უფრო ღარიბათ იცხოვროს, ნაკლები და უარესი სიჭმელ-სასმელით დაეკმაყოფილდეს, უფრო ცუდი ბინა დაეკავოს, უარეს მონძებში გაეხვიოს, ეს ტარიფი ტანჯულს ტანჯავს უარკვევებს.

ამ ტარიფის დიდი მომხრე იყო გერმანიის მთავრობა. ბუბელმა ასე დაასრულა თავისი სიტყვა ტარიფის მომხრეთა მიმართ. „ეს ტარიფი, როგორც დიდებული საჩუქარი თქვენი კლასისა, შობის ხეზე ჩამოკიდეთ; თქვენ იქვიეთ, იმხარულეთ დიდებულით მართულ ოთახებში, როცა თქვენს უკან, ცივს, ნოტიო და ბნელს სარდალში, თუ ქუჩებზე მილიონობით ხალხი სიცივე-სიმშვიდისგან კანკალობდეს და ძრწოდეს... ჩვენ შეესძლებოდა აუხსნათ და ჩვენ გონათ ამ ხალხს, თუ როგორ დაუნდობლათ უდალბეთ თქვენ მას და როგორ გასთელეთ ფეხ-ქვეშ მისი უფლებანი, მისი მსჯავრი, სამარე, მოკვლენება თქვენს ბატონობას, რომელითაც თქვენ კერაგულათ სარგებლობდით ხალხისავე დასახარავათ“.

ავსტრია-უნგრეთი. 27 ნოემბერს უნგრეთის ჰარლამის-ტში ერთი დეპუტატის საქმის გამო იყო გამართა. ს.მხედრო მიწისტრი ამტკიცებდა, რომ პოლიტიკურ დამსახურება საქმის გარეგანს უკუ შეუდგა ოფიცერთა სამსჯავრო, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს ჰარლამისტიანთა და არც უნდა დაემორჩილოს ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებას. ამ სიტყვებმა ააღელვა მთელი ჰარლამისტი. თავმჯდომარემ მასე უხათ გამაგნდა: უმადლესი მხრანებელი ჯარის ჰარლამისტი და არა ხელმწიფეა; მასსადამე ჰარლამისტი ემორჩილება უკუდა სამხედრო დაწესებულებას.

მადეცხელა. სამხრეთ-აფრიკაში არის პატარა რესპუბლიკა ვენეტუა, რომელშიაც სამი მილიონამდე მცხოვრებია. ამ რესპუბლიკაში განაფხელზე ატუდა რეკლუცია. კლერიკალებმა გამოეცხადეს ბრძოლა ლიბერალებს. კლერიკალები დამარცხდნენ. კერძის და ჩრდ. ამერ. შერთ. შტატებ. ბურჟუაზია თანაუგრძობდა კლერიკალებს, როგორც ერთგულ მონებს ევროპის და ამერიკის კაპიტალისტების.

არეულობის შემდეგ დასრულებულ უცხოელებმა რესპუბლიკის ზარალის აღდგენა მოთხოვეს. ვენეტულის პრეზიდენტი თანახმა იყო დაეკმაყოფილებია უცხოელ კაპიტალისტთა მოთხოვნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის გარეგან მიწვევას ვენეტულის სამსჯავროს. პრეზიდენტის სამართლიან წინადადებაზე უცხოელი კაპიტალისტები არ დათანხმდნენ და მიმართეს ძალ-მომრეობას. გერმანიის და ინგლისის მთავრობებმა სამხედრო ნაწილები გაგზავნეს ვენეტულის წყლებში, დაღუპეს ვენეტულის სამხედრო ნაწილები და ჯარი ნაპირზე გადმასხეს. პრეზიდენტმა მიმართა ხალხს და 50 ათასი კაცი მზათა იბრძოლოს ინგლისის და გერმანიის კაპიტალისტთა ძალმომრეობის წინააღმდეგ. მაგრამ, რასაკვირველია, მზათ ვენეტუელ მარტო საკუთარი ძალით ვერას გახდება, თუ საქმეში ჩრდ. ამერ. შერთ. შტატები არ ჩაერთა. ხალხი სიჭკვია, რომ ამ სასულეში მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ჩრდ. ამერიკის შტატებმა, არა მგონი მტკიცეთ დაიცვან მათი ძველი პრინციპი — იმერიკა ამერიკელებს. თუ ამერიკელებმა მარცხ-უკლებია აუგრძალებს ევროპეულ კაპიტალისტებს, მზათ ევროპელებიც არ დაანებებენ მათ სხვა ქვეყნების ხალხებს საძარცვავათ... სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტთა შორის არსებობს ერთგვარი თანხმობა, თუმცა ნაძალადევი, მათ შორის ერთობას მოითხოვს მათი კომუნალური და კლასიური ინტერესები.

ზ ა მ თ ა რ უ ი.

შუალამეა წყვილია...
სიჩუმე, ირგვლივ დუმილი,
გულს გაზაფხული ეძახის
და გარიჟრაჟის წყურვილი!

მთა დათოვლილია, ბარს ნისლი
გადაფენია პირზედა,
ყინვის ქვეშ წყარო ქვითინებს,
სტირის მიმალულ სხივზედა!

მხოლოდ მუხა კი, მუხა კი
ტრიალ მინდორზე თამაშათ
სდვას, ტოტებსა შლის ბნელაში
რიჟრაჟის მისასალამათ!

შუალამეა წყვილია...
სიჩუმე, ირგვლივ დუმილი,
გულს გაზაფხული ეძახის
და გარიჟრაჟის წყურვილი!

ი. ევლოშვილი.


მთვარიან ღამეს...

(ესკიზი).

კაშკაშა მთვარევე, ნუ, ნუ მიწვევ, გეთაყვანე, საოცნებოთა! სადა მცალიან, შე დალოცვილო, აყვე შენ ელვარება დასა ფიქრებით გამოვუდევ შენ სხვიეთა სრობოლას. ხომ ხედავ, რა ყოფაში ვარ? აი ეს, ციფრებით აქრელებული დასტა დასტა ქაღალდები, აი ეს დანჯღრეული საანგარიშო ჩოთქი! მთელი ღამე ყარყუმით უნდა ვიჯდე და ვაჩხაკუნო ჩოთქის კოჭები... რა მეთქმის?

ნეტავი შენ, რომ თავისუფალი ხარ!... მე კი? — პატარა, უმნიშვნელო ადამიანი, ერთი რაღაც უენო და უსიტყვო გადამწვარილი...

მაგრამ ვის რა ვუთხრა? ჩემი ხვედრია: ვსდუმდე, როგორც სამარე და ვიმუშაო, როგორც პირუტყვა. სხვა ყველაფერი ჩემთვის აღკრძალულია!



რას გეცინება? იქნებ არა გჯერა რომ ქვეყნათ ასეთი ხვედრიც არის? მაშ ყური დიმიგდე!...

თავზე რომ ხელი მოვისვი და ჩემი თავი ადამიანათ წარმოვიდგინე, ყველას ვარწმუნებდი: მე თუ ადამიანი ვარ, ადამიანურათაც უნდა ვიცხოვრო მეტქი.

ვინ მოგახსენა, ადამიანი კი არა, მოლაპარაკე მანქანა ხარ და სხვა არაფერიო! მიკიეინა ქვეყანამ. გული მომივიდა, გავჯივუტდი: რასაც მეუბნებოდნენ, მე სულ წინააღმდეგს ჩავდიოდი, ერთს რომ მიკვეთავდნენ, მეორეს ვაკეთებდი. ამით ის უნდა დამემტკიცებინა, რომ მანქანა არ ვიყავი, რომ მეცა მქონდა ჩემი შეხედულება, ჩემი აზრი, ჩემი სურვილები...

— გიჟი ხომ არა ხარო! დამიყვირა მამა ჩემმა.

— სწორეთ... დასაბმელიაო! დაუმატე დედა ჩემმა. გული მომიკვდა შინაურებმა რომ ასეთი შეურაცყოფა მომაყენეს. გავლანძღე, უდიერათ მოვიხსენიე ჩემი მშობლები, მათი ნათქვამი უკანვე დავუბრუნე და სახლი მივატოვე.

ბატონით დავიწყე ყიალი ქვეყნათ. მთა და მინდორი შევაჯერე, ტყე და ველი დავთელე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ყუდადღებაც არავინ მომაქცია.—ვინა ხარ, სადაური, საიდგან მოთრეულხარო! დამიღრიალა პირქუშმა მთამ, მხრებზე შავი ბურუსი წამოისხა და ზურგი მაბრუნა.

— ხმა გაიკმინდე, ვერა ხედავ ნიაცი მელერსებაო! დამიტიალა ტყემ, ერთი ღონივრათ შეიბერტყა და თავზე იმდენი ფოთოლი გადმომაყარა, რომ კინალამ არ დავირჩე... გულგახეთქილი გამოვარდი ტყიდან და ფეთიანივით დავეშვი თავქვე. წინ მდინარე შემხვდა. შევდექი, უნდობლივ ჩამოვჯექი მის კიდეზე, პირი დავიბანე და ნაღვლიანათ დავუწყე მხერა.

მშვენიერება რამ იყო მთის ანკარა! მწყერივით მიგოგავდა ყვავილებით მორთულ კიდეებს. შორის და სირინოზის ხმით რაღაცას ჩაიმღეროდა. თვალი გავაყოლე ტალღების კიკვივს, ყური დავუგდე მდინარის დუღუნს. ქვიდან ქვაზე მხტუნავი ტალღები მხეს შესტრფოდნენ, გულ-მკერდს კეკლუცათ იღვღავდნენ და მარგალიტებივით ბრქვივინავდნენ. მათი მომზირალი მხეც თავს ილამაზებდა, კეკლაობდა... დიდხანს ვიჯექი მდინარის პირათ, მაგრამ ვერ გავიგე ტიროდა თუ იცინოდა ცელქი ანკარა, ლოცავდა თავისს გაჩენის დღეს, თუ სწყევლიდა იმ დიდ ლოდებს, რომლებიც გზაში ეღობებოდნენ და თავისუფლათ ცეკვას უშლიდნენ... ეს კი მახსოვს, რომ ნეტარების თავს-ბრუ დამასხა მდინარის ბუტბუტმა და მეც ვიგრძენ სიცოცხლის ძალა: მეც მომწყურდა მოქმედება, მომწყურდა ლაპარაკი, სიმღერა, ცეკვა, თამაში. სამსონივით წამოვუდექი შავ ფიქრებს და წვრიმალას ალტაცებით შევძახე.

— აბა ტაში დაუკარი, მინდა ვიცეკვო მეტქი!

— მეხი კი დაგაყარო! კუდიანი ბებერივით გამოძახა ქალამ.

— ტაში მეტქი! მე მაინც გავიძახოდი და შვლის ნუკრივით დავკუნტრუშებდი ბუნების მკერდზე. დავილაღე, ნეტარებით დავითფერი, მიწაზე გავიშხლართე და ყვავილებს გადავხვებო.

— იქით დავგეკარგე, სიცოცხლეს ნუ გვიშლიო! დამიყვირეს ყვავილებმა და საყვედურით თავის ქნევა დამიწყეს. ჯერ მეწყინა მათი საყვედური, მერე შემრცხვა ჩემის თავხედობის, ჩემის საქციელისა.—ყვავილები სულ მთლათ გამექეღლა. გამოვფრკვიე და ვიგრძენ რომ ჰაეროვანი არსება კი არა, ტლანქი, მოუხეშავი ადამიანი ვიყავ.

სიცოცხლით სავსე ბუნებას ჩემთან საერთო არა ქონდა რა... დავრჩი ობლათ, უთანაგრძნობოთ.—ოხ, რა ტანჯვაა მარტოობა!...

პურიც მომშივდა, კუქმა წვა დამიწყო და წელებმა—

წივილი. წამოვიკრიფე ჩოხის კალთები და ფაცხა-ფუტქი დავეშვა სოფლისაკენ. იქ ერთი მეგობარი მეგულეობდა და იმას მივმართე.

— რა გნებაგს? უკმებათ შემეკითხა მეგობარი მეგულეობდა როდესაც მე მზათ ვიყავ ალტაცებით მოხვევენოდი და მისი მაღალი შუბლი ვადამეკოცნა.

— მეგობრობა, თანაგრძნობა მეტქი—გაუბედავათ ვუბასუხე.

— ცხოვრება გულ-გრილია... გაქვს რამე?

— წრფელი გული და თავგანწირული სიყვარული მოყვასისადმი-მეტქი—კიდევ ვუბასუხე.

— ეგეც ცარიელი სიტყვებია... ფული, ფული გაქვს? როგორც თოფ ნაკრავი არწივი დაცემამ ხოლმე მიწაზე.

ისე მეც ციდან მურალ ქვეყნაზე ზღართან მივიღე. ფულის გაგონებამ გამახსენა ჩემი თავი და ხალხთა ურთიერთობაც... რამდენიმე ღღე დავრჩი მეგობრისას, პირში ლუკმას მითვლიდა... მებუზღუნებოდა. ჩემი მასთან ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა, ავიკრიბე გულდა ნაზადი და ისევ დედ-მამას მივაშურე. წამოსასვლელათ რომ მოვემზადე, ჩემს მეგობარს სახე გაუბრწყინდა, მაგრამ ჩამომართვა ხელი და გულთბილათ მითხრა.

— ნახვამდოს, ჩემო მეგობარო!.. იცოცხლე, ჩემო მეგობარო!

— გმადლობ მეტქი—აღერსიანათვე ვუთხარი მეც და გულში გავიციენე. ქვეყანა ხომ ორპირობისა და თვალთ-მაქცობისაა.

ცხრათ წველში მოხრილი, სასომიხილი მოვედო შინ. მაჩაჩემს ისე ესიამოვნა ჩემი ნახვა, როგორც ქრისტეს იგავში მოხუც მამას უძღვები შეიღოს დაბრუნება გახარდა, მაგრამ ხსენებულის მამასავით კი არ მომექცა... ის მოხუცი ღვთის ხატება იყო, მამა-ჩემი კი—თანამედროვე ცხოვრების შეილი... დიდხანს მათვლიერა, ათასნაირათ გამისინჯა კბილი, ათასი რამე მკითხა. მე ხმას არ ვიღებდი, ავსა დე კარგზე ერთგვართ ვუკანტურებდი თავს...

— დაქვიანდი? ღიმილით შემეკითხა მამა-ჩემი.

— დაქვიანებულა, ენაცვალოს მაგას თავისი დედა!—ალტაცებით დაუქრა კვერი დედა ჩემმა.

— მაშ იმსახურე! მოკლედ, უკმებათ მიბრძანა მამამ და ისეთი თვალით შემომხვდა, რომ წინააღმდეგობის შემდეგ მისს მამა-შვილობაზედაც ხელი უნდა ამეღო.

— ცხოვრება ძნელია, შვილო... კაცს სმა, ქამა, სიცოხლე უნდა,—სული კი ტკბილია... ქიკიკებდა დედაჩემი და თან მელერსებოდა.

— რასაკვრველია... ყველაფერია საქირო. მეტქი... კბუტბუტებდი მეც და თანდათან ვეჩვეოდი იმ აზრს, რომ ბედს ჩემთვის ქედ-დაბლობა ურგუნებია.

ერთ მშვენიერ დღეს,—ყველასაგან მოძულეებულმა,—ჩავიცვი გახუნებული სერთუკი, დავიდგი კისერზე სახამებლისაგან გახრეკილი თეთრი გულისპირი, შევიბი შავი საყელო, მუშტის ოდენათ მოვიკუნტე და გამოვცხადდი ჩვენის ნოლას წინაშე. (ნოლა ჩვენი კანტორის გამგე გახლავთ).

ნოლამ ამხედა, დამხედა, ამათვლიერა, ჩამათვლიერა. მეც ჩავიძვრინე პერანგში კისერი და ნარზე მჯდომარე ნიბლიასავით აქეთ იქით ყურება დავიწყე.

— ჰმ... მაშ ადგილი ვინდა... სამსახური... ძალიან კარგი! ნულნულებდა ნოლა და თვალითა მზომავდა.

— დიახ, მიმსახურეთ, მამუშავეთ... ვეცდები, რომ დავიმსახურო ყურადღება თქვენის აღმატებულებისა მეტქი. ვე-ბუტბუტებოდი.

— ნოლას სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მე ჩიტვით შევეფრთხილდი, შეკვრთი, მეგონა დამცი-

ნის მეთქი. ნოლა არ დამცინოდა. თურმე ის იამა, რომ მე მას ,,თქვენო აღმატებულებავ“ დავუძახე.

— კერძო სამსახური იმითი არის ცუდი, რომ ჩინებს არ გვაძლევენ—დაიწყა ცოტა ხნის შემდეგ ნოლამ,—ჩინებს რომ გვაძლევდენ, რასაკვირველია, აქამდის კი ვიქმნებოდი ,,აღმატებულებავ“. ოც-და-ხუთი წელიწადია ამ სკამს არ მოვ-შორებოვარ... ვმუშაობ დღე და ღამ... სხვასაც ვამუშავებ... შენც გამუშავებ ყმაწვილო, თუ კი... ნოლამ ღაპარაკი შეს-წყვატა და თვალი თვალში გამიყარა. ალბათ ჩემი გულის-თქმის გაგება თუ მოიწადინა.

მე ვიდექი ისარივით ერთ ადგილს დარქობილი და თვა-ლებსა ვბლიტავდი.რა მეთქვა, რა მებასუხნა—არ ვიცოდი.

— მაგრამ... განაგრძო ნოლამ—პირობას კი ჩამოვარ-თმევ:

— არ უნდა იყო ზარმაცი. არ იქმნები?

— არ ვიქნები.

— სიტყვა არ უნდა შემომიბრუნო! არ შემომიბრუნებ?

— არა!

— მე გამიგია, რომ შენ უკმეხი ღაპარაკი იცი, უფროს უმცროსობას მაინც-და-მაინც არ აფასებ. ეს დიდი უკუღმარ-თობაა. შემომფიცე, რომ შენ ჩემ წინააღმდეგ არ წახვალ, რა-საც გიბძანებ,—გაკეთებ.

— ვფიცავ,—გულმოდგინეთ ვიმუშავო!..

— არა გულმოდგინება არა კმარა. შენ უნდა ყურ-მოჭრილი მონა იყო (თუ კი შეიძლება ასე ითქვას მეოცე საუკუნეში) შემომფიცე, რომ ენას არ აჭარტალბე...

ალარ მახსოვს შეფიცე თუ არა, ამ უკანასკნელ პირო-ბაზედაც, ე. ი. ვალიარე ჩემი თავი მანქანათ თუ არა, რაც ერთ დროს ასე ძლიერ მეჯავრებოდა, ეს კია რომ სამსახურ-ში მოგხვდი და აგერ სამი ოთხი წელიწადია, რაც ერთგულათ ვემსახურები ჩემ ნოლას და იმდენი სამუშაოც მომიხვია თავ-ზე, რომ არც კი მაქვს დრო ვიფიქრო: რა ვიყავ, რა ვარ და ან რა უდა ვიყო...

გამეცალე მეოქი, მთვარევე, ჩემ ოთახში ნუ იქყიტები... ნუ მაცდენ. ხვალ დილით ეს ქალაღები მზამზარეულათ ნა-ანგარიშევი უნდა ჩავაბარო, თორემ...

არ გეყო, რაც გითხარი, შე მაცდურო? ესეც შენ სი-კეკლუცეს დაუმადლე, უკვდავების ღმერთივით რომ წამომ-ხართქოვებულხარ აეთრათ გადაპენტილ ღრუბლებზე. რა ღამაზი, რა საოცნებო რამა ხარ! ხედავ, როგორ შურით შემოგ-ყურებენ თვალუთუნა ვარსკვლავები! ჩვენც ვგრე კატასავით შევეცქნავით ხოლმე მალალ კანტორკაზე ყვავის კიკოსავით წამოსკუპებულ ნოლას, როდესაც იმისგან მოწყალებას გა-მოველით...

კმარა, გეთაყვა, ნუ კეკლუცობ! შენ რომ იცოდე რა ქარცეცხლი დამატება თავზე დღეს ნოლამ, მაშინათვე გადა-ცურდები მთას იქით... გაგიკვირდება ერთისაგან მეორის ასეთი დამცირება!

მაინც არ მშორდები? იქათქათე, ჯანი გამვარდეს! განა ვინ არის სამართლიანი, რომ შენ იყო!

ეხ, ნოლა, ნოლა! ნეტავ იცოდე, რა ცეცხლი ტრია-ლებს ჩემს გულში, რა გრძნობებს მიღვიძებს თავისუფალი, ამაყი მთვარე... ნეტა ახლა ჩემი სატრფო მაინც მაჩვენა!.. ფუი, ეშმაკო! კიდევ საოცნებოთ მიწვევ? რით ვერ გაიგე, მთვარევე პირ-ბადრო, რომ საოცნებოთ არა მცალიან... ხვალ, ხვალ თუ არ ჩავაბარე ეს სამუშაო, სამსახურიდან გამომავდებენ და დავრჩები მშვიერი... მერე ვის მივმართო? ფეხებზე ჰკიდიათ, თუ მე მთელის ბუნების გულში ჩასვენება შემიძლიან...

— მე უბრალო გადამწერალი ვარ და ეს წოდებაც რომ დავკარგო, მაშინ უყურე შენ ქვეყნის განგაშს!

ოხ, როგორ შეურაც-მყო დღეს ჩვენმა ნოლამ! ,,რა ღმერთი გაგიწყრა, ამდენი ხანია ამ უხეშ ქალა-ღებსა ჯღაბნი და მაინც ერთი გრაფა მეორისაგან ვერ გაგიო-ჩევია, ციფრებს აბდა-უბდა სხავო“ მართალი კი სთქვა... მაგრამ თუ არა მანქანას, განა ადამიანს შეუძლიან ჩემი სა-მუშაოს შეუცდომლათ გაკეთება?

კალენდრის ენა უნდა ვიხმარო, რომ ავიწეროთ ჩე-მი სამუშაო! წარმოიდგინეთ, ბატონებო, თქვენის სიგრძე-სიგანის ქალაღი. ეს ქალაღი აჭრელებულია ათასგვარი ხა-ზებით, ათი ათასი უჯრედებით. ქარხნიდგან მონაწერის წე-რილებიდან უნდა ამოიკითხოთ საგნის სახელი და მისი ლი-რებულობა. ეს სახელი უნდა მოძებნოთ ამ ხაზებით აჭრე-ლებულ ქალაღზე, ასწიოთ ღირებულობის მაჩვენებელი ციფ-რი და ჩასვათ შესაფერ უჯრედში. ასე უნდა მოიქცეთ ვიდ-რე ყველა წერილს არ გადაიკითხავთ და ყველა უჯრედებს ციფრებით არ გაავსებთ. ეს არაფერი!.. უბედურება ის არის, რომ ვიდრე ურიის მკვლარივით გაქიმულ ქალაღზე კალმის გაყოლებით მიაგნებდეთ შესაფერ უჯრედს, ამონაკითხი ციფ-რი კიდევ გავიწყდებათ. მის გასახსენებლათ რომ თავს წა-მოიღებთ გვერდზე გაშლილ წერილებისაკენ, ნაპოვნი უჯრე-დი გეკარგებათ და ასე და ამ გვარათ, მთელი დღე კოდა-ლასავით იქნევთ თავს, თვალებს ძალას ატანთ, მებსიერებას იკრებავთ, კისრის ძარღვებსა და ყურებს იჭიმათ, სულთქმას იხუთავთ და მანქანათ გარდაქცეული მთელ თქვენ ძალლო-ნეს ღუბავთ. მაგრამ მაინც არა გამოდის რა! შეუძლებელია თვალი არ ავიგორდეთ, უჯრედი არ შეგცდეთ და ან რომე-ლიმე ციფრი უადგილო ადგილს არ მიახეტოთ. მაგრამ ვინ გაპატივებთ? შეგცდათ?.. ცუდი მომუშავე ყოფილხართ, მორჩა და გათავდა!.. წარმატებას ნუ მოელოთ. მეტადრე თუ ნო-ლაც არა ხართ!

ოხ, ნეტა ამ გრაფების მომგონი ჩამიგდო ხელში, ვამუ-შაო თავის გამოგონილზე, რომ გაჩენის დღე დაიწყევლოს!.. მაგრამ, მგონი ყველა ასეთი სამუშაო გიყუბის მოსაქვეიანებ-ლათ გაუჩენიათ.

დღეს დილით გადავწყვიტე უეჭველათ თავ-დავიწყებით მემუშავნა და ჩვენი ნოლას საყვედური თავიდან ამეცილები-ნა. ხაზებით აჭრელებული ქალაღი დაბადივით გავქიმე, ქინ-ძისთავებით მაგიდაზე დავამარე, პიჯაკის სახელოები დავი-კაპიწე, თმები გადავივარცხნე, რომ თვალეზე არ წამომბრო-და, გავკმიდე ხმა, გარემე ფიქრები კეფაში მოვიმწყვდიე და უსუნთქებლივ შევეუდექი ციფრების წიალსა. ,,ათი კოლოფი წუმწუმა ღირს ექვსი კაპეიკი“ ამოვიკითხე ქარხნიდან მო-ნაწერ წერილში. ,,ექვსი პაპეიკი, ექვსი კაპეიკი... წუმწუ-მა... წუმწუმა,—ვიმეორებდი გუნებაში და თან ქალაღზე იმ უჯრედს ვეძებდი, რომელსაც თავზე წუმწუმა ეწერა. ვიპო-ვე კიდევ, მაგრამ, რადგანაც უჯრედის ძებნაში კალამს მე-ლანი უკვე შეაშრა, უჯრედს მარცხენა ხელის მაჩვენებელი თითი დავფარე, კალამი მელანში ამოვაწე და გულ-დამშვი-დებით დანიშნულ უჯრედში გამოვიყვანე ,,ექვსი“. თურმე წუმწუმის უჯრედში როდი ჩამისვამს ის დაწყევლილი ,,ექვ-სი“, თითი ამცდენია და ,,ექვსისათვის“ უადგილო ადგილას მიკვრეყინდება თავი!..

გავათავე ,,ველომსტის“ შედგენა, თავისუფლათ ამოვი-სუნთქე და კმაყოფილებით გავუწოდე ჩვენ ნოლას. ნოლამ თვალიერება დაუწყა. მწყერივით გაფანაბე და მის სახის ცვლილებას ვუყურებდი. გული მიკანკალედა, რადგანაც ნოლა შეცდომას არ მაპატივებდა ხოლმე, დანარჩენი ჩემი ამხანაგებიც ხმა გაკმენდილი მუშაობდენ, ყველა თავის

საქმეს ჩასჯდომოდა. კანტორაში სიჩუმე გამეფებულიყო. მარტო კალმების უსიამოვნო წრიაინი და არღვევდა მკვდრულ მღუმარებას.

უცბათ ვაისმა ნოლას უკმეხი სიცილი. გეგონებოდათ ცხენმა დაიხეხინაო. მოხელეებმა თავი მალა ასწიეს და ერთმანერთს შეაჩერდნენ. ზოგმა მათგანმა — მოცინარე უფროსი რომ დაინახა — უაზროთ, სულელურათ დაიწყო ღრეჯა. უფროსისთვის უნდა ესიამოვნებინათ. მე კირის ოფლმა დამასხა.

— რაო? ათი ფუთი რკინა ღირს ექვსი კაპეიკო? ხა, ხა, ხა! ხეიხეინებდა ნოლა და თან დაცინვის თვალთ მიყურებდა...

— აი კიდევ! — დაიგინა ნოლამ — ასი ცოცხი ღირს... აბა დახედე, ყმაწვილო, რა ფასი დაგიდგია ასი უბრალო ცოცხისათვის? დაცინვით მომმართა მე.

მე გაფთვითრი, თვალეხი ამებლარდა, ვერაფერი დავინახე.

— ბატონებო, მიჰმართა ნოლამ ჩემ ამხანაგებს... ამ ვაჟბატონის აზრით ასი ცოცხი ღირს... აბა გამოიციანთ რამდენი...

მოხლეებმა ღრეჯა დაიწყეს... ღმობიერის სახით გამოცნობას ცდილობდნენ.

— ვერ გამოიციანთ! ასი ცოცხი ღირს ასი მანეთი! ხა, ხა, ხა! აი ასეთი მუშა უნდა, აი! აღარ ისვენებდა ნოლა.

იმ წუთში ცხრაჯერ მოვკვდი და ცხრაჯერ გავცოცხლდი. სისხლი გულში ჩაქექა და ვწყველიდი ჩემ გაჩენის დღეს, ვწყველიდი ჩემ გაფანტულობას, ვწყველიდი იმას, ვინც ჩემდა სამარცხვინოთ ე უჯრედები მოიგონა... ნოლამ მძიმეთ დაკეცა „ვედომოსტი“, გადამოვიღო და მითხრა: „წაიღე სახლში, გადასწერე, იანგარიშე და ხვალ დილით მომიტანე“. ხოლო თუ კიდევ მოგივა შეცდომები, მაშინ კი „პრაშაიო“... (შევიდობითო).

ახლა ხომ გაიგე, მთვარე, რომ ჩემ ცოდვაში დღეები და მაცდნენ. მოშორდი, მოშორდი ჩემ ფანჯრებს, შენის ღვთის გულისათვის!..

ოხ, შემომქმედო! რატომ მანქანა არა ვარ! რისთვის მომეცი გული, გონება და აღმფრენა, თუ კი ნოლების დასაცინი, მათი სათამაშო შევიქნებოდი!!.

ია ეკალაძე.

სამწუხარო სურათები პროვინციის ცხოვრებიდან.
(ზონის აშუბა)

პრესა გამომხატველია საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისა; პრესის საშუალებით ჩვენ ვმსჯელობთ ცხოვრების ავტარებისაზე, მის ზრდა-განვითარებაზე. ქართული პრესის თვალ-ყურის დევნება გვიმტკიცებს, რომ ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრება ფრიალ განუვითარებელია, მისი მაჯის ცემა ძლიერ ნელია. ყოველ მოვლენას თავისი განსაზღვრული მიზეზი აქვს და ჩვენი ცხოვრების დაქვეითებასაც, რასაკვირველია, თავისი. ჩვენი ცხოვრების დაქვეითებაში დიდი ბრალი უძევს ჩვენ უმოქმედობას. ენერჯის უქონლობას, ჩვენ შურაახობას და პარტიობას, რომელსაც წმინდა საფუძველი კი არ აქვს, არამედ პარტიობას, ქვენა აზრებზე დამყარებულს და პირადი ინტერესებით გამოწვეულს. ამ სამწუხარო მოვლენის დამამტკიცებელ ფაქტებს უხვათ ვპოულობთ ქართულ ყურნალ-გაზეთებში; ამავე ფაქტებს ვხედავთ საკუთარი თვალთ, თუ კი ცხოვრების დაკვირვების სურვილი და უნარი ოდნავ მაინც გვაქვს. ამ ბოლო ხანებში ერთი საძაგელი სენი დაგვიჩვენა: საზოგადო საქმის

შესახებ ბევრს ვლაპარაკობთ, თვით საქმეს კი ძლიერ ცოცხლად ვაკეთებთ. ჩვენ ვგრძნობთ, რომ მარტო თავისთვის ცხოვრება, მარტო თავის თავზე ზრუნვა სამარცხვინოა და ამისათვის, და რომ ამ სირცხვილს თავი და ვაძლეოთ, ვაქცევდებთ საზოგადო საქმისათვის შრომის სურვილს. სამწუხაროთ, ეს ჩვენი სურვილი არ არის ძლიერი, ჩვენი გრძნობა არ არის ღრმა, და ამისათვის ჩვენი შრომის სურვილი სურვილათვე რჩება და მარტო საზოგადო საქმეზე ლაპარაკით თავდება. ცხოვრებამ წამოაყენა რაიმე საკითხი, საზოგადოებაში მომწიფდა რაიმე მოთხოვნილება — და ჩვენც შევეუდგებით ამის შესახებ დაუსრულებელ სჯაბასს; გავმართავთ კრებებს, წარმოვსთქვამთ გრძელ და ხანდისხან შინაარსიან სიტყვებს და, თუ ბედმა გავგილიმა, სიტყვას საქმეთაც ვაქცევთ, მაგრამ უმეტეს ნაწილათ მხოლოდ იმისთვის, რომ ახლათ განხორციელებულმა საქმემ მალე თავის არსებობა მოსპოს.

ხუთი თუ ექვსი წლის წინეთ ხონელებმა შევიგნეთ, რომ ხონში საქირთა ბიბლიოთეკის დაარსება, რომ ეს მოთხოვნილება მომწიფდა და საქირთა მისი დაკმაყოფილება; შევიგნეთ და საქმესაც შევეუდგეთ: ხუთი წლის განმავლობაში ვმართეთ კრებები, ბევრი ღრმა აზროვანი სიტყვები წარმოვსთქვით ამ კრებებზე, ბევრი ტყვია და წამალი დავხარჯეთ და ბოლოს დიდი ზარითა და ზეიმით გავხსენით საშეკრებო. დებეშები და კორესპონდენციები გავზავნეთ, რომ საშვილიშვილო საქმე დავაარსეთ-თქო, ამოვირჩიეთ კომიტეტი, მივანდგეთ საქმის მართვა და დავბრუნდით სახლში, კმაყოფილნი და გახარებულნი: თურმე ნუ იტყვი, ჩვენი სისარული ნაადრევი ყოფილა; ზარისა და ზეიმის დროს დაგვეწყებია, რომ ბიბლიოთეკის არსებობა მკვიდრ ნიადაგზე არ არის დამყარებული. საქმის სიყვარული, დაუზარებელი შრომა ამ დიდ ნაკლს შეავსებდა და ბიბლიოთეკის არსებობას უზრუნველ-ყოფდა, მაგრამ ჩვენ ლაპარაკი უფრო გვეწებებდა, ნამდვალ შრომა და კეთილი საქმის მხარის დაჭერა ჩვენთვის მეტათ საძნელო საქმეა. მალე გამაშკარავდა, რომ ბიბლიოთეკას უსახსრობის გამო ახლო მომავალში დახურვა მოელოდა და ამ სამწუხარო მომავლის თავიდან ასაცუნათ გაიმართა სალამო საშეკრებო სასარგებლოთ. როგორ ფიქრობ, მკითხველო, როგორი თანაგრძნობით მიეგება ამ სალამოს ჩვენი საზოგადოება, ის საზოგადოება, რომელმაც დაახლოვებით იცოდა ბიბლიოთეკის მდგომარეობა? სალამოს ოცამდე კაცი დაესწრო და შემოსავალი ოც და ორ მანეთამდე ავიდა; ფაქტი თავის თავათ ლაღაღებს!

შეუწყნარებელია ამგვარი ჩვენი გულ-ვრილობა საზოგადო საქმისადმი, მაგრამ უფრო შეუწყნარებელია ჩვენი საქციელი, როცა ამ ჩვენ გულ-ვრილობას ვამართლებთ — და არა მარტო ვამართლებთ, საყვედურით, ლანძღვა-გინებითაც კი მივმართავთ სალამოს გამმართველებს, რათ ბილეთი სახლში არ გამოგვიგზავნეთო? კარგი რეპატიოსანი, ბატონებო! ესთქვით სალამოს გამმართველნი ურიგოთ მოიქცვნ, რომ ბილეთი სახლში არ გაახლეს, მაგრამ თქვენ ხომ იცოდით, რომ იმართებოდა სალამო, თქვენ ხომ იცოდით, რა მდგომარეობაში იყო ბიბლიოთეკა და როგორ საქირთ იყო თქვენი დახმარება? ხომ იცოდით ყველა ეს, მაშ რათ უცდიდით, ბილეთს სახლში გაახლებდნენ თუ არა? ამ გვარ საქმეში პირად სიმპათიას ან ანტიპათიას რა ადგილი უნდა ქონდეს? ნუ თუ ეს არის თქვენი საქციელის გამამართლებელი საბუთი? რა ფასი უნდა მივსცეთ ამის შემდეგ თქვენ სიტყვებს საზოგადო საქმის სიყვარულის შესახებ? რა ვუპასუხოთ სინდისს, თუ ოდესმე მან გაიღვიძა და დაგვეკითხა, „რა ვაკეთებთ, რას ვშვრებოდით“...ო?

ბევრს ვლადიკავობთ, ცოტას ვაკეთებთ; სამწუხარო მოვლენაა, რასაკვირველია, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ მარტო სახლში ვლადიკავობს არ ვჯერდებით. რაღაც ვაუგებთ, დაჟინებითი სურვილი გვაქვს—ქვეყანას ვამცნოთ, რომ საზოგადო საქმისათვის ვიღვწით, და რომ ეს სურვილი შევისრულიათ—ხშირათ სინამდვილეს ვლადიკავობთ და ფაქტებს ვამაჩინებთ. გადაიკითხეთ ბ. „ინი“-ს კორესპონდენცია (იხ. „ავერია № 205) და დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სინამდვილეში. პატივცემული კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ სოფლის მასწავლებლების ჩამოსვლისთანავე ხონში „საზოგადო ცხოვრებას მეტი სიცოცხლე ეტყობა“, (საზოგადოთ, ბ. „ინი“, თუ მარტო წელს?) რომ „წელს ზაფხულში საზოგადო მოქმედების ასპარეზი მარტო მასწავლებლებს და რჩათ“, (წელს მარტო მასწავლებლებს და რჩათ, წარსულში მათთან ერთად ცოტა რამეს ხომ სხვებიც აკეთებდნენ, ბ. „ინი“?), რომ „წელს ისინი მართავენ კრებებს, ისინი აწარმოებდნენ თეატრს“.

ამ გვარათ, ბ. „ინი“-ს სიტყვით ხონელი (მკვიდრი) სოფლის მასწავლებლები საზოგადო საქმეში დიდ უნარს იჩენენ და საზოგადოებრივ ცხოვრებას სათავეში უდგანან; ჩვენ კი იმ აზრისა ვიყავით, რომ ისინი არ ღებულობდნენ აქტიურ მონაწილეობას საზოგადო საქმეში, და მათი ცხოვრება ამ მხრივ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ამ გვარივე აზრი გამოთქვა „კვალში“ ერთმა მათმა არა ხონელმა ამხანაგმა, რომელიც წარსულ ზაფხულში ესტუმრა მათ და საკმაოდ გაიცნო მათი ცხოვრება. რითი ასაბუთებს ბ. „ინი“ ამ თავის აზრს სოფლის მასწავლებლების შესახებ? „ბ. შვიდიას წასვლის შემდეგ თეატრში წარმოდგენა შესწყდა და ვადაწყვიტეს თითონვე ეწარმოებიათ თეატრი“, ამბობს იგი.

ხონში ორი წელიწადია არსებობს საზაფხულო თეატრი, და ამ ხნის განმავლობაში თეატრის მართვა-გამგეობაში მასწავლებლებს, გარდა ორი-სამისა, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ; ბ. შვიდიას წასვლის შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა, და ამ ხნის განმავლობაში ერთი წარმოდგენაც არ გამართულა. თუ სახალხო თეატრის საქმე მათ აინტერესებდათ, თუ ხალხისთვის შრომის სურვილი ქონდათ, რათ არ მიაქციეს ყურადღება ამ საქმეს ამდენ ხანს?

გახსენეთ, ბ. „ინი“, რომ მასწავლებლების გადაწყვეტილება თეატრის მართვის შესახებ არ იყო მათი ინიციატივა; ისინი მხოლოდ მაშინ დასთანხმდნენ ეწარმოებიათ თეატრი, როცა მათ კრებაზე მოვიდა ერთი არა მასწავლებელი, დაუსურათა თეატრის მდგომარეობა, მოაგონა მათ მათი მოვალეობა საზოგადოების წინაშე და თხოვნით მიმართა ეკისრნათ ეს საქმე. ამას, იმედია, არ უარყოფთ, ბ. „ინი“, და თუ ეს ასეა, სად არის აქ აქტიური მონაწილეობა საზოგადო საქმეში? აღნიშნული ფაქტი პირიქით ამტკიცებს სრულ გულ-გრილობას ხონელ სოფლის მასწავლებლებისას საზოგადო საქმისადმი. ამ გულ-გრილობას იჩენდნენ და იჩენენ ისინი ყოველ საზოგადო საქმეში და ამ ცუდ მხარეს გამოაშკარავენ უნდა და არა დაფარვა. უნაკლო კაცი ძვირათ მოიპოვება, ხოლო ნაკლის მხილება ერთი საუკეთესო საშუალებაა ადამიანის გასასწორებლათ; ბ. „ინი“ კი მხილების მაგივრათ ქებით იხსენიებს მასწავლებლების „ნაყოფიერ მოღვაწეობას“, და რომ თავისი დამტკიცოს, ფაქტებსაც კი ამაჩინებებს. მაგრამ, რას იქ, როცა დიდი სურვილი გვაქვს, საზოგადო მოღვაწეთ ჩავეთვალან. ძლიერი სურვილი რას არ აქნენებს ადამიანს?

ცოტა ვლადიკავობთ, ბევრი ვაკეთებთ; „შუბი ხალხთაში არ დაიმალება“; საქმე თვითონ დაიწყებს ღალადს!

პ. კიკალიშვილი.

შავი ქვის სამეფო დაწ.

მთავრობა შავი ქვის მრეწველთა საზოგადო კრებას, რომელიც ამდენი ხანია მოელოდნენ და თუ გახდებოდა უფრო ახსნებულს, კორესპონდენტები მაინც დაფარდნენ. მაგრამ საქმეს რა შთა, თუ რას სწერენ მთავარი კრების შესახებ ბ-ნი კორესპონდენტები? ცდილობენ საზოგადოების ყურადღება მიამჩიონ ამა თუ იმ გითხვის გადაწყვეტას, თუ კიდევ სხვა ახალს რამეს აქტუალს უურადღებებს? არც ერთი, არც მეორე. ეს ერთი ხანია ჩვენ უკვე დღიურ გახეთქებში თავი იჩინა „ნათელ-მირანობამ“ და თუ რამეს სწერენ შავი ქვის სამეფო დაწ., უთუთ ეხლანდელი საბჭოს და მისი მეთაურის საქმე-სადიდებლათ. არც ერთი გახეთქი არ შეგიძლიათ რამე საწინააღმდეგო დასწერათ ეხლანდელი საბჭოს შესახებ. უთუთ უნდა აქეთ და ადიდოთ იგი, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი წერილი რედაქციის კოფორში ამოგოფეს თავს. არც ერთ წერილში, რომელიც კი იყო აქამდე დაბეჭდილი რომელიმე დღიურ გახეთქში, არ იყო ნახევრები რამე ცოტა მაინც ნაკლებს ეხლანდელი საბჭოსი. დავიჯეროთ, რომ მას უბრალოდ რამე შეცდომა მაინც არ მოსვლია თავის ცხოვრებაში? მარტო ეს საკმარისია ვიფიქროთ, რომ ჩვენი გახეთქები ძალიან გულ-მოდგინეთ იტავებს ეხლანდელ საბჭოს და „ბალიალობას“ კარგა მაგრათ გაუდგამს იქ ფეხი. გული გისქებათ და ბრანსე მოდისართ, როდესაც გითხულობთ ამისთანა კორესპონდენტებს, მაგრამ რას იხამთ?! დასწერათ რამეს და გაგზავნით რომელიმე გახეთქში. ტუილათ იწუხებთ თავს. თუ ცოტათი მაინც არის ეჭვის თავალით შეხედეთ საბჭოს მოქმედებას, რედაქციები მაშინვე ზასუსათ გჭერთ: თქვენი წერილი ზირად ინტერესებს აშენებულ და ამიტომ არ დაიბეჭდება. თუ აქეთ და ადიდოთ იგივე საბჭო, მაშინ გამოდის, რომ ზირადი ინტერესები „გაგზავნა“ და დიდი სიამოვნებით იბეჭდება თქვენი წერილი. მოგესხებოთ, აქ სულ საბჭოს თავმჯდომარის დაცვაშია საქმე. როგორც ზუბოციანტი ბ. ზდანოვიჩი კარგა ხანია ჩვენთვის მიმალულია, მაგრამ თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა მან ვითომ სხვა საქმეში გადმოიტანა და შავი ქვის მრეწველთა საბჭოში მოღვაწეობს ეს მეშვიდე წელიწადია. მთელ მის მოღვაწეობას ამ საქმეში ჩვენ აქ არ გავარჩევთ, რადგან ეს ძალიან შორს წავიყვანს, მხოლოდ შევეხებით იმას, რაც უფრო აინტერესებს საზოგადოებას მთავარი კრებისთვის, რომელიც, როგორც იცის საზოგადოებამ, 7 იანვრისთვის არის დაინიშნული. — ჩვენზე უფრო დაწვრილებით მის მოქმედებას, როგორც ისმის, ნათლათ დავგანახებთ საზოგადოებრივ კომისიას, რომელმაც ისე ბეჯითათ მოვიდა საქმეს ხელი, რომ არა მგონია, სადმე ჯერ ამისთანა რეკვიზია მომხდარიყოს. ამბობენ და ჩვენც გვჯერა, რომ მისი მოხსენება ძალიან საინტერესო იქნება, ამას კი თავის დროზე ენახვით და ვინც ბეჭდებთ კიდევაც მკითხველ საზოგადოებას. ესეა კი გზა და გზა ზოგიერთ ფაქტებს მივაქცევთ ყურადღებას. კულახდით უნდა გითხრათ, რომ მაინც და მაინც არაფრათ მიიყვანს გახეთქში წერა. შეიძლება ეს ცოდათ ვინმემ ჩამომართვას, მაგრამ ასე კია. ზგით აღნიშნეთ, რომ ჩვენ გახეთქებში ამ მოღვაწის შესახებ „ბალიალობა“ სუფუფს მეთქი, მაგრამ განსაკუთრებით „Новое Обозрение“-ში კიდევ ამაზე მეტი ხდება. ისე რომ-რა არ გამოვა, რომ თითო-ორი დიფერანსი არ უძღვან ჩვენ ძველ მოღვაწეს. სამსახურად ასე უნდა სწორეთ და რადგანაც ამ შემთხვევაში ამ გახეთქის საქმიანი საზღვარს გადავიდა, გვსურს გავუვთ მის კვალ და კვალ და უკვლავან ფაქტების მიხედვით ვამხილოთ იგი ბრმა თავგანისტებაში. ნუ თუ ბ. ქუთათური კორესპონდენტი ამ გახეთქის, რომელიც შეიძლება არც ეფიდიფოს ჭიათურაში, ჩვენზე უფრო კარგათ ხედავს, თუ რა ხდება ჭიათურაში? ჩვენ არ გვჯერა, მაგრამ უფრო უკვლავთ თვით „ნათელ-მირანობის“ შევადართ ფაქტებს და იმედია უკლიფერი გამოიარკვევს. — მე მიხნათ მაქვს სწორეთ, რომ ყოველ შემთხვევაში

გარე მასუნი ამ გაზეთის კორესპონდენტს. შეიძლება, მკითხველმა იკითხოს, რატომ უთუთ „НОВ. ОБОЗ.“ მიუხედავად და კვლავ და არა სხვა გაზეთსა, მაგრამ მოგვსხვებით, რომ სხვა გაზეთები ჯერ ჯერობით უფრო სდუმან, ხან და ხან თუ რამეს წამოაძახებენ, „НОВ. ОБОЗ.“-ს კი ძალიან გულმოდგინე მოუკიდნია საქმისთვის ხელი. ავიღოთ ვი ამ თვას ნომერი. შევნიშნავთ კიდევ აქ ერთს, რომ ჭიათურის ამბებს ქუთაისიდან სწერენ ამ გაზეთის რედაქციას და არა ჭიათურიდან. ეს იმიტომ ხდება, რომ ჭიათურიდან უთუთ არავინ აწვდის-საქმე სადიდებელ წერილებს. ვი ამ თვის ნომერიდან ჩვენ ვგებულობთ, თითქმის საბჭოს ვაჭრების დახმარებით 40 ფანარი დაუდგამს საუკეთესო სისტემის (მოდელი), შეუძენია ჭიათურისთვის ცენტრლის მქრობელი და დამასუფთავებელი მანქანები, დაუხმარებლათ გაუკეთებია ორი სიდიდის ჭიათურაში, მოუკარწყლავს ქუჩები, დიდი შემწეობა აღმოუჩინა ჭიათურის შკოლებისთვის, აუშენებია სხალხეო თეატრი და დაურსებია კურსები სამთა-მანდა სელამხედველ მუშებისთვის. დავაკვირდეთ, რამდენათ მართლაც ეს 40 ფანარი არსოდეს არ დაუდგამს საბჭოს, არამედ მცხოვრებლებს დაიდგეს თითონ, აქ საბჭო არაფერ შუაში არ ყოფილა. ცენტრლის მქრობელი იარაღები, როგორც ვერათ, 1000 მანეთი დაჯდა, საბჭომ შემოიტანა მხოლოდ ნახევარი. „ასეზინაციის ობოლი“ თვალთაც არავის უნახავს ჭიათურაში და არც არსოდეს გაუშენდა რამე. დაბას ვაგს მთაჯარადრე, რომელიც წმინდა დაბას და არა საბჭოს „ობოლი“ ყოველივე მცხოვრებელს იხდის განსახდურულ გადასახადს და საბჭოს „ობოლი“ სად არის, ჩვენ თვალთ არსოდეს არ გვიხანავს. ნუ თუ მარტო ქუთათურმა კორესპონდენტმა დაინახა ის ქუთაისიდან და ჩვენ კი, აქ მცხოვრებნი, ვერ ვხედავთ მის? „როი ხიდი გაკეთალ“. ჭიათურაში არის სულ ოთხი ხიდი, ერთია რკინის გზის ერთიც საბჭოსი, მართლაც, ორი ხიდი კი მცხოვრებთაგან არის თავიანთი საშუალებით გაკეთებული და მათი საბჭოს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მათ გაკეთებაში, მხოლოდ ამ ბოლო დროს, როცა ხადის ფიტრები შელხა, საბჭომ შეაკეთა იგი—მეტე არაფერი. „მოკარწყლა ქუჩები“. ვერც ამ მოკარწყლულ ქუჩებს ვხედავთ ჩვენ. მხოლოდ ვხედავთ, რომ ყოველ დღე საწყალი ჩაღვადრება და მისი ცხენები მუცლით (ეს გადაძებებული არ გეგონათ) მიარდევვენ ტალახს, მაგრამ ამაზე უფრო ვრცლათ შემდეგ...—სულ აქვს საბჭოს 42 ვერსი გზა სივით, მოკარწყლულია მხოლოდ ჭიათურისთვის და ბოლოში სულ 300 საყენი სივით. ამას ქვია ქუჩების მოკარწყლა?

დიდი შემწეობა აღმოუჩინა ჭიათურის შკოლებს. ჩვენ გვეგონა, რომ საბჭო, რომელსაც ყოველწლიური შემოსავალი 100—200 თასი აქვს, თითონ დაასრულებდა შკოლებს არა თუ ჭიათურაში, მანებთან სოფლებშიც კი. ამას მით უმეტეს ვფიქრობდით, რომ საბჭოს სათაუბო ჩვენი ძველათ ცნობილი „დიდი მოღვაწე“ განხლავთ. სირცხვილია, სირცხვილია, რომ ჭიათურას ერთი რივიანი სკოლა არ ქონდა და სასულიერო მთავრობა ცდილობდა ამის შესახებ და არა საბჭო და მისი მეთაური. წარმოიდგინეთ, რომ სასულიერო მთავრობამაც კი მიაქცია ჭიათურას ურადლება და ორი საძრეველ სკოლა განსნა და ჩვენი საბჭო კი ამბებს ურადლებას არ აქცევს.—ამ საძრეველ სკოლებში, როგორც ვეულებს, მაინც-და-მაინც ვერ იქნება სწავლის საქმე რივიანთ დაუქნებული შეძლების უქონლობის გამო: სასულიერო, მოსწავლეებზე გადასახადი და მსწავლეებს ცენტრ ჯამგირი. აი აქური სკოლის მდგომარეობა. დიდი შემწეობა საბჭოსი გამოიხატება, როგორც ვიცით ჩვენ ხმდელი წყაროებიდან, 1900 ივლისიდან 1902 ივლისამდე 600 მანეთში, თუ ცენტრს ნაკლებში, აი მისი დიდი შემწეობა.—ამითი რომ არ დაკმაყოფილებულა საბჭო ხალხის კეთილდღეობისთვის, სახალხეო თეატრის კი დაურსებია, მართლაც. მესამე კრებაზე «ობოლიცია» და მხოლოდ «ობოლიცია» როგორც იყო, ძალა-უნებურათ აიძულა საბჭო ეზრუნა სახალხეო თეატრისთვის. ამის შესდეგ იქირავეს სა-

ხლი, იყიდეს დეკორაციები და ამ ორი წლას განხალხობა სულ 5-ჯერ თუ გაიძრათ სახალხეო წარმოდგენები. დეკორაციები უთუთ ღებოს ხელ-ხელა თეატრში, რადგან ხმდელის მხარეს დადილიც ნოტიოა (თეატრი ქვემო სართულში). თეატრის გამგეობა საბჭომ იმისთანა პირებს ჩაუგდო ხელში (კ. ხანშიძე, კ. თუმანოვი, ი. ლორთქიფანიძე, ს. ჯაფარიძე და ა. ალდაროვი), რომლებიც ასე ფიქრობენ თეატრზე და სახალხეო წარმოდგენებზე, როგორც მე და შენ, მკითხველო, შარშანდელ თოვლზე. ავი დასმტკიცეს კიდევ თავის გულმოდგინეობა მით, რომ ამ დროს განხალხობაში არც ერთი წარმოდგენა მით არ გაუშინათავთ. „მუშებისთვის დაურსებია კურსები“, იწერება კორესპონდენტი. დაის, კურსები არსებობდა მხოლოდ არა მუშებისთვის. აქ მუშები რამესატანი იყო. როგორც ხედავთ, ბატონებო, არც ერთი კორესპონდენტისაგან გადამცემული ფაქტი არ უახლოვდება სიმართლეს და საზოგადოება შეცდომაში შეყავს. სხვა რომ არა იყოს რა, ამ ფაქტების გამაძინებლათ ვერც პირები ისერების ტალახში. მაგ., როცა ჭიათურის საზოგადოებამ წაიკითხა ეს კორესპონდენტი, იფიქრა უთუთ: ჩვენ ადგილობრივ ბოქაულს ფულები მივეციო ფანების და ცენტრის საქრობ არალების შესამხათ, და აქ კი გამადის, რომ საბჭოს უყიდნია ეს ეველათერიო. ამას რასაკვირველია მოუვებდა სხვა და სხვა ეჭვები ბ. ბოქაულის შესახებ. ხმდელათ კი ეს ფაქტები ასეა, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ და არა ისე, როგორც ქუთათურმა კორესპონდენტმა. იმედა, ბ-ნი კორესპონდენტი როგორც ამბუ ისე სხვა წერილებზეც, რომელიც ჩვენ გვექნება იმის შესახებ, ჰასუსს გაგვეცეს. ჩვენ ვიწვევთ მას და სინუმი ან სიტყვების ბანზე ავდებს მის სიმტყუნეს დასმტკიცებს. ფაქტებს პირდაპირ შესხედავს ესაჭიროება და არა გვერდით. ჩვენ ვარგათ ვეცემის, რის მუცლას ტევილიც აქვს ბ. „ნათელ კორესპონდენტს“. მას, უნდა რომ თავისი წერილებით ცალ-მსრივი გაგვანა იქნინოს მკითხველზე და საბჭოს მოქმედება მხოლოდ ვარგის მხრით დაინახოს მას, იმიტომ რომ კრება ვარგის და არჩვენებიც სომ მაშინ იქნება... არ გვეყრას, რომ საზოგადოებამაც „ნათელი-მამობა“ იყოს გამოეებული, როგორც ჩვენ გაზეთებშია. იმედა, ყოველი წერილი კრებისა გონიერულათ შესხედავს საქმეს და ფაქტების წინ თვლებზე ხელებს არ დაიფარებს. თუ წინააღმდეგი მოხდა, მაშინ ჩვენ ეხლანდელ საბჭოს მაგიერ ვიტყვიოთ „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჭრხოვო“.

ერთი ჩემი ვარგი ხანობი მწერდა ამ დღეებში თფილისიდან, სდაც ის ერთ-ერთ გაზეთში თანამშრომლობს: „ყოველად შეუძლებელია, ამ გაზეთში საბჭოს საწინააღმდეგო დაიწეროს რამე“. როგორ მოგწონთ, ბატონებო, ამისთანა გაზეთის საქციელი? სიმართლედ ვინდოდეთ დაწეროთ, ვერ დაწეროთ, თუ „ბადაღის“ მოქმედებას შეხეთ ცლახით. თუ აქვთ, ბატონი ბრძანებით, გამოგზავნეთ, დაიბეჭდება. ვარგი ამბავია, თქვენ ნუ მინიკვდებით!—მაგრამ აქ საკვირველიც არა არის რა. „ბადაღობაც“ იმაში მდგომარეობს, რომ შინა ემები ცდილობენ, „ადამ“ თბილი ალაგი არ დაკარგოს. თუ მათ ყოველი წერილი გაუშვებს „ადის“ საწინააღმდეგოთ, შეიძლება საზოგადოებამ გვეცის თვალთ შესხედავს „ადის“ მოქმედებას და მაშინ სომ დაიღუბენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“-ს. ამკე ვი ნომერში ხანახეა ლახარავი, მხოლოდ რადგან ამის შესახებ უფრო ვრცლათ გვინდა ლახარავი, ვერ-ჯერობით დაფხებოთ ამას თავი. გამოვიდა ვი ამ თვის ნომერი. რასაკვირველია, აქც საბჭოს შესახებ წერილია. როგორც ხედავთ ბ-ნი კორესპონდენტი არ დალატობს თავის დაინიშნულებას. საბჭოს პრეპტი შეაქვს და სახალხეო სასლის ამენება უნდაო“. დიდათ სასიამოვნოა, მხოლოდ ვნახოთ. ჯერ-ჯერობით ამბუ ლახარავი მეტია. შევნიშნავთ მხოლოდ ერთს: თვით საბჭოს დაარსებიდან ჩვენ გვეცემის ყოველ კრებაზე: „ხალხი—მუშა-ხალხი—მთი ცხოვრების გაუმჯობესება და სხვ. მაგრამ ავერ შეიდი წელიწადია საბჭოს დაარსების შემდეგ და

ახა ერთი რამე მანც გვჩვენოს ბ-ნმა კორესპონდენტმა, რაც შეუძლებს ცხოვრების გაუმჯობესებას შეეხებოდეს! მე დარწმუნებული ვარ, ვერ მიხვებები. ვაი, თუ ესლაც ეს კითხვა თავადის ასასკუვით იყოს შეტანილი ჰროგრაში? ვინათ.

„თუ კრებამ დაადგინა საბჭოს წიათურაში გადატანა, მაშინ სასლიც უნდა აშენდეს საბჭოს და მოსამსახურეებისთვის, რომელიც 60,000 მანეთით დაჯდება“. როგორ? განა მესამე მორიგ კრებას არ დაუდგენია 82 სმის უმეტესობით წინააღმდეგ 21, რომ საბჭო წიათურაში გადატანად იყოს? (იხ. Труды 88 კვარდი). ასე თავადის ახევეც არ შეიძლება! ან იქნება ვინმე კიდევ უიჭრობს ამ კითხვაზე ღაპარაკს მომავალ კრებაზე? და თუ უიჭრობს უთუ-ოთ საბჭო, რადგან, როგორც მაშინ დაინახეთ, ბ-ნ თავმჯდომარეს ძალიან უძნელდება წიათურის ტალახებში ცურვა. არა, ბატონო, მობრძანდით, მობრძანდით, თქვენც იგემეთ წიათურის ცხოვრება და მისი ტალახები, იქნება მაშინ უფრო მაქციათ მას ყურადღება. თქვენც იგემეთ აქაური გონებრივი საზრდოს აზრანობა, იქნება მაშინ ერთი მანეთის წიგნი მანც უფრო აქურ ბიბლიოთეკას. (როგორც ბ-ნ ბიბლიოთეკარისაგან გავიგე და მეც დაკრწმუნდი, საბჭოს არ უყვია ბ-ბიბლიოთეკისთვის ერთი უბრალო წიგნაკი. ესეც კიდევ ჩვენი „დადი საქმის კაცის“ მოქმედება).

„საბჭოს 14 ოთახი დასჭირდება და მოსამსახურეებს 25-იო“. — „არუთისან ფართალსა ფართუ-ფართუთა სვედენა“, ამასუკა სა-ოქვამი. — დღევანდელ საბჭოს შეადგენს: 1 თავმჯდომარე, 2 სეკრეტარი, 2 სტატისტიკი, 2 გადაწყვეტი, 1 კასირი და ერთი მბეჭ-დავი, სულ 9 კაცი და 14 ოთახი დასჭირდებათ, არ ვიცი, რა აზრანობით და გერც გერას ვიტყვით ჯერ-ჯერობით. რაც შეეხება მოსამსახურეების სახლს, ამასუკი შეეკვიდრა ვთქვით ორიადე სა-ტყვა: განა ჩვენი მოსამსახურენი ისე ცოტა ჯამაგინს იღებენ, რომ მათ სახლი აუშენოთ, მაშინ როდესაც საბრალო ჩაღანდარს დღე არ გაგა, რომ ვაღით ნყადი ცხენი არ გადმოუფარდეს უხეი-რო გზიდან და ვისერა არ მოატყოს?

უბრალო ტეხნაკი საბჭოში მოსამსახურე იღებს წლიურათ 2,000 მანეთს, სეკრეტარიც 2,000 მანეთს, გარდა კარგი საჩუქ-რებისა. მწერალი 600 მანეთს, თავმჯდომარე 4,000 მანეთს, ფა-რაული 300 მანეთს, შიკრიკი 360 მანეთს და ასე ბოლომდე. განა ეს ცოტა ჯამაგინა, რომ მათ კიდევ სახლები მიეცეთ და სხ. უმთავრეს საჭიროებებს თავი დაკანებოთ? ჩვენ გვეტყვიან ეს ასე არ არის, მაგ., შიკრიკი და ფარული ოც-ოც მანეთს იღებენ. მარ-თადაც. საბჭომ უკველთვის დახალ მოსამსახურეებსე იცის ეკონო-მიის გაკეთება რაღაც სუთი მანეთის მოკლებით და საბჭოს წევ-რებს კი მაგ., რომელთაც 15-15 მანეთი აქვთ დახმარული გრების დროს დღეში, იმათ სამ-სამი თუქანი გაუსადა დღეში. საბრალო ფარულს და სახიტარებს კი მცირე ჯამაგინადანაც ჩამოაკლ-თი-თოს სუთ-სუთი მანეთი და ამითი თვეში რაღაც ოცი მანეთის ეკონომია გააკეთა. ეს განა სამართალია? არა, ბატონებო, ამ სახლე-ბის აშენებით მათ უნდათ თავლები აკვიხვიონ, რადგან კარგათ იცან, რომ ამას ერთი ორი წელიწადი მანც მოუხდება და მა-ხამდა სურათ ქუთაისშივე ბრძანდებოდენ. წიათურაში ისე გაჭირვე-ბა არ არის, რომ ცხრა კაცმა ბინა ვერ იშოვოს, ნამეტურ კვლა, როცა შენობები ცალაქრია.

რაც შეეხება ოკით საბჭოს ბინა, ის კი საჭიროა აშენდეს და ამასუკი თავის დროსე ღაპარაკიც გვექნება. სხვაზე შედეგ.

ქუთაისი-სეოთებიდან.

ჩვენი შენიშვნა „ივერია“-„სეოთის ფურცლის“ გან-ხეთქილების შესახებ არ მოსწონებია უკანასკნელს და მე-№ 2009-ში გვრასუხა შემდეგ ნაირათ:

„კვალს“ „ვერ გაუცია ჩვენ მიერ დაჭერილი ზოხიციე ამ საქმეში და საზოგადოთ არ სტოდნია, რას ნიშნავს გახეთქე ში-

რის ლიტერატურულ ურთიერთობის შეწყვეტა. ეს უკანასკნელი სრულიად არ მასწავლებს „ბრძოლის ველიდან გაქცევის“ და „ბრძო-ლის უარის უაფას“. „ლიტერატურული დამოკიდებულება ერთი-ერთობა“ არას შემუშავებული გარეგანი ფორმა უნდა იყოს მანეთის ზატივის-ცემის გამოსახატავათ“.

ჩვენ გვეგონა, რომ „ლიტერატურულ ურთიერთობას“ გაწყვეტა ორგანოთა შორის ნიშნავს გაწყვეტას იმ იდეური დამოკიდებულების, რომელიც ამ ორი ორგანოს ლიტერატუ-რულ მოღვაწეობას შეეხება. ხოლო ლიტერატურული მო-ღვაწეობა შეიცავს ყოველივე იმას, რაც გაზეთში იბეჭდება და რასაც ის ემსახურება. ცხადია, როცა ამას არ შეეხები, შენ ორგანოში არ მოიხსენებ ერთი სიტყვით, მის ლიტერა-ტურას არ შეეხები—აი ეს არის „ლიტერატურული ურთი-ერთობის“ გაწყვეტა. ეს ასე ესმის ყოველ კაცს და ყველა გამოცემას. ასევე გაიგო „ივერიამც“ (იხ. გასული კვირის ნომერი). „რაც შეეხება გაზეთების გაუცვლელობას და ერთ-მანეთის განცხადებების დაბეჭდვებლობას, როგორც ეს „სეოთის ფურცელს“ გადაუწყვეტია და „ივერიისთვის“ უცნობებია—ეს ვერასოდეს ვერ იქნება „ლიტერატურული ურთიერთობის გაწყვეტა“, ვინაიდან ყველა ამაში ლიტერა-ტურის არა არის რა. ეს შეეხება გამოცემის საქმეს და მისი უარის ყოფა ნიშნავს საგამომცემო დამოკიდებულების უარის ყოფას.

თუმცა ეს ასეა, მარა „სეოთ. ფურც.“ ირწმუნება, ასე არ გვექნებია სახეშიო. ძლიერ კარგი, ეს კიდევ უფრო სა-სიამოვნოა. საქმე იმაშია „ლიტერატურული ურთიერთობა“ თუ კი იქნება—ხოლო რა გზით იქნება ეს, „ივერიას“ ნომ-რობით იყიდის თუ პირდაპირ რედაქციისაგან მიიღებს—ეგ არავისთვის საინტერესო არ არის და, ჩვენ გვეგონა, არც ამ ორგანოებისათვის უნდა იყოს დიდათ საყურადღებო. რაც შეეხება „ივერიის“ კვირის მეთაურს უნდა ვთქვათ, რომ ეს „სეოთ. ფურცლის“ ხელახალი შეურაცხყოფა და გვა-კვირვებს ლიტერატურული ვთიკის ასეთი დაცემა. მაგრამ არა ნაკლებ გასაკვირალია ისიც, რომ „სეოთ. ფურცელს“ არ ეტყობა, რომ ეს დიდათ სწყენოდეს, თვარა განა შეეძლო მის რწმუნებულთ მიეწერათ „ივერიისათვის“, რომ „სეოთ. ფურც.“ რედაქცია ფიქრობს, „ივერიას“ განგებ არ მიუყენებია შეურაცხყოფა „სეოთის ფურცლისათვისო“. თუ კი ეს ასეა, ცხადია საბოლიშოც აღარაფერია აქ და ამ ხრით „ივერია“ მართალს სწერდა თავის მეთაურში. ან შეიძლება აქაც „სეოთის ფურცლის“ რწმუნებულთ სახეში ერთი ქონდათ, ხოლო დაწყებით კი სხვა დასწერეს? ესეც შესაძლებელია, თუ კი ავტორნიც დაგვეთანხმებიან, რასაკვირელია...

* *

გურიის გლეხების მდგომარეობაზე არა ერთჯერო ყოფილა გაზეთებში დაბეჭდილი. მარა არა ნაკლები გაჭირვებული ყო-ფილან მეგრელები. აი, რას სწერს „სეოთის ფურცლის“ კორესპონდენტი ოთხშაბათის ნომერში.

სენაკის მაზრის მსცავრებთა ხანჯარზე მეტს სიმიანი ივ-ლისმდეც არ გაუფლია, მეტადრე მთა-გორიან ადგილებში..

აქ ბუნდერ კაცთ ის ჩაითვლებოდა, ვისაც სიმიანი სავადე-ლი არ ქონდა. უმეტესობა კი, როგორც ზეკითაც მოვისხენიეთ, ამ ბუნდერებს მოკლებული იყო. ვიდვით როგორ უნდა ეყიდა გაჭირვებულ გლეხს, როდესაც სიმიანის ფასმა 35—40 კაპი-კის მაგიერ 1 მანეთიდან 1 მ. და 20 კაპიკამდე აიწია! ასე ძვი-რათ ჩვენში თითო ორფლას თუ შეუძლია სიმიანის ვიდვა და ცოლ-შვილის გამოკვება, თორემ უმეტესობას—დარბ ხადხს ამისი აჯა სდა აქვს? ამითი ახისნება, რომ ჩვენში ჩვენის ცხოვრებისათ-ვის არა ჩვეულებრივ მოვლენას წრეულს ადგილი ქონდა. ჩვენში ვერ იშვიათათ ყოფილა ისეთი ქონებრივთ დაცემული ოჯახი, რომ

სიმილი ვეღარ ეშვას ცალ-შვილის გამოსაგებათ. წრეებს კი ამისთანა ოჯახი ბევრი გამოჩნდა: სიმილი ადრე გამოქვია, უიღვიო კი ვეღარ უშვდათ უსახრობისა გამო, და ხანდაჲლი „სიმილია“ დაუდგათ! შეითხველმა რომ ცალკურ სიტყვებთ ან ჩამომართვას, აქ მოვიყვანოთ ორიადე მაგალითს.

სოფელ ლეისტიხეში წკრილ ცალშვილის ბატონი გლეხის. ავად გახდა, — ოჯახს რაც უბადა, შეუჭამა, და სპი დღე მთელი ოჯახი უჭმელ-უსმელი იყო თურმე, სხანამ ადგილობრივმა მამასწავლისმა ან შეიტყო ეს ამბავი. ამ უკანასკნელმა შიშვლისაგან ანაქათ გამოდგული ხალხი ურემზე დასხა და სოფლის ურადობას წარუდგინა, — სოფელმაც შეიბრადა ბუდკრული ოჯახი და შეძლების დაგვართ შეძწეობა აღმოუჩინა.

ა, მეორე მაგალითიც. გლეხს ბ — დან დიდი ხანია, რაც სიმილი გამოქვია, მაგრამ შინც ასე თუ ისე ცოდვილობდა და ცალ-შვილს ატუეებდა ხან ხილულობით, ხან ტყეობით სიმილით... მაგრამ დასე იმის ბედს: უჭმელობით დანე მიხდილი ცალი ფილტვების ანთებით ავად გახდა. სოფლის ფერმლისაგან რამდენად „არცა“ (რეკრეტი) ეშვას და თავის უკანასკნელ უჭესი აბაზით წასულიყო აფთაქში, მაგრამ ვეღარ გაიძევა უკანასკნელი სხსარი ცხოვრებისა საუკრელ ცოლისთვის წამლების საყიდლათ და მწუხარებით წარმოსთქვა: „ბატონო, ისევე ცალი მომივადეს სჯობს, ვინემ წვრილი შეილება შიშვლით დემესტეცეს!“ ამას განმარტება ადარ სჭირია. ამისთანა გულ-შეშხარავი ამბავი რამდენი ერთი ჩამოგითვალთ, მკითხველთ! ამის უმთავრესი მიზეზია მიწის ნაკლებობა.

გლეხთა შორის ძალიან ჭრელათაა განაწილებული მიწა: ზოგიერთ გლეხს ბლამათ შეუძენია მამული, ზოგს კი ქცევა, ქცევა-ხსკეპარი თუ აქვს, დიდი ღვთის წყალობაა. კარგს მისაგლიან წაღაწადს ხშირათ შეტყუდებთ სოფელში გლეხი, ან და ბატონ ამბრდას და ამხანგაბის მიერ ასლათ გამომტყნარი ახნაური, რამდენიც უადის 1500—2000 ფუთ სიმილდა, იმის მუხბეულს კი — გაზაფხულამდის თუ ეუთ თავისი სიმილია, დიდი ღვთის წყალობა! ან და სიმილიან უნდა იფიქროს საკუთრებას მოკლებულმა მიწათ-მოქმედმა, სხვის მამულზე მომუშავემ, რაცა მთელი მისი ნაშრომ-ნადავნი ჭინახული დალათ მიდის მიწის-მფლობელის ხელში?

ამას განმარტება აღარ სჭირია.

* *

გასულ კვირას გამოვიდა განახლებული „Аргonaut“ ი. პირველი ნომერი გვაჩვენებს, რომ ახლანდელი ვაზეთი გაგრძელება არაა წინანდელ «არგონავტი». ის ახალ გზას ადგია და ეს ახალი მიმართულება ძლიერ საყურადღებოა ჩვენთვის. დღეს ჩვენ სულ სხვა ხანა დავგიდგა. თუ წინეთ კარჩაკეტილობა ძეფობდა, თუ თემი თემს ებრძოდა და მტრულის თვალთ უყურებდა, დღეს სამაგიეროთ ასეთი ვითარება შეუძლებელია. გაუტანლობის და განკერძოების ხანა წავიდა. დადგა ხანა მოქალაქეობრივი ცხოვრების, რომელმაც წოდება წოდებას აურია, ხალხის ნაწილთა შორის უფრო კავშირი ჩამოაგდო, ყოვლად ძლიერი დაასუსტა, უღონო და ყოველ უფლებას მოკლებული ფეხზე წამოაყენა. უფლებრივი გათანასწოებისაკენ მისწრაფება თანდათან იკვლევს გზას. ამავე დროს ერთა შორის კავშირი თან-და-თან იზრდება. განკერძოებას თანდათან ბოლო ედება, როგორც ერთი და იგივე ერის ნაწილთა შორის, აგრეთვე თვით სხვა და სხვა ხალხთა შორის. კულტურულ განვითარებას თან სდევს ერთა ეკონომიური შეკავშირება, გონებრივი დაახლოვება, და ეს დაახლოვება, საერთო ინტერესების წამოყენება და დაცვა მით უფრო სჭირია და აუცილებელია, როცა რამდენიმე ერთმანეთში არიან. აქ ქიშპობა, ურთი-ერთთა მტრობა მხოლოდ მოქალაქეობრივი განვითარების ხელ-შემშლელია, მხოლოდ მტრის გამხარებელია. ამიტომ ჩვენ დიდა სიამოვნებით

ვეგებებით ახალ ვაზეთის სარედაქციო განცხადებას: „დროთა ახლა მინც დაგრწმუნდეთ, რომ კავკასიის ერნი უნდა მოქმედებდნენ ხელი-ხელს გაყრილი, უნდა თანხმობით დაეწინაურდნენ სამშობლოს საკეთილდღეოთ. ჩვენ ბედნიერად ჩათვლით თავის თავს, თუ ჩვენი ვაზეთი იქნება საერთო ინტერესების გამოხატველი“. დაგვჩვენია მხოლოდ ერთი. ვუსურვოთ ახალ ვაზეთს: დაყენებულ მიზანს არ უღალატოს, მიდგომ-მოდგომამ არ გაიტაცოს, და სინდისიერათ ატაროს ის ძვარდა-სი დროშა საერთო მოქმედებისა, რომლისთვისაც იმას ხელი მოუკიდია ამ საერთო გაჭირვების და გათახსირების დროს.

შილოვრის ბოემის შირიშადი თვისებანი.

(შემდეგი *).

ხელოვნების ასპარეზზე შილოვრი მებრძოლათ გამოვიდა. თუ თვისი მოღვაწეობის უკანასკნელ დროს, როდესაც პოეტმა ვეიმარში დაისადგურა და გეტესთან ერთათ ხელოვნების წმინდა ფორმების კვლევასა და შემუშავებას შეუდგა, შილოვრმა დაპარგა ძველებური აღტაცება, ენტუზიაზმი, სულის ძლიერი, დაუწყნარებელი კვეთება და დღიურმა ვარამმა, სოციალურმა კითხვებმა მის თვალში ძველებური ინტერესი დაკარგეს, ამ დროსაც კი პოეტის ოცნებას ხანდახან ფრთას წამოკრავდა ხოლმე ყმაწვილობის ენტუზიაზმი და გააღვიძებდა მასში სიყვარულს საზოგადოებრივი კითხვებისადმი. ახალგაზრდა შილოვრის მთელი აზროვნება კი, მთელი მოთქმება საზოგადოებრივი ცხოვრების გარშემო ტრიალებდა. ხელოვნებაში ის არ ხედავდა დამოუკიდებელ მიზანს, მას არ რწამდა ხელოვნება ხელოვნებისათვის, — ხელოვნებაში ის ხედავდა მხოლოდ საშუალებას ცხოვრების გასაუმჯობესებლათ და ამ საშუალებას მტკიცეთ და ერთგულათ ჩაქიდა მან ხელი. არსებული წყობილება როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური პოეტს სრულებით არ აკმაყოფილებდა; ყოველ წყობილებას ის ზომავდა პიროვნების ბედნიერების საზომით; რაც შეიძლება უმეტესი ბედნიერება უმრავლესობისათვის — აი რას ითხოვდა შილოვრი ცხოვრებისაგან. ის მედგრათ მიისწრაფოდა წინ, უკეთესი ცხოვრებისაკენ, რომელშიაც გამეფებული უნდა ყოფილიყო სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა და თანასწორობა. ჩვენ დავინახეთ, რომ პირველ ხანებში ახალგაზრდა პოეტის მისწრაფება იმდენათ შეგნებული, ხანგრძლივი მოფიქრებისა და აწონ-დაწონვის ნაყოფი არ იყო, რამდენათაც სტიქიური: კარლოს შოპენი იბრძვის, მას უნდა ცხოვრების გაუმჯობესება, ზნეობის ამაღლება, პიროვნების განთავისუფლება და გაზდნიერება, მაგრამ მას არა აქვს გამორკვეული ერთი მხრით ამ სანატრელი ცხოვრების არსებითი თვისებანი, მეორე მხრით ის გზა, ის საშუალება, რომელსაც ადამიანი მიყავს ამ უკეთესი ცხოვრებისაკენ. შემდეგში შილოვრი თანდათან გარკვეულ გზას დაადგა; იმის ორ პიესაში: „ფიესკო“-ში და „დონ-კარლოს“-ში ნათლათ არის გარკვეული როგორც პოეტის პოლიტიკური იდეალი, ისე საზოგადოებრივიც.

„ფიესკოს“ შინაარსი შემდეგია. გენუას მართავს მოხუცებული დორია, რომლის შემკვიდრეთაც ითვლება მისი ძმის წული — ჯანეტინო დორია. თუმცა მოხუცებულ დორიას უმრავლესობა პატივსაც ეცემს. მაგრამ ჯანეტინო არის გარყვნილი და უხნეო ახალგაზრდა; სხვისი დამცირება, სხვისი პიროვნების შელახვა მისი ერთათ ერთი ხელობაა; საკუთარი ბედნიერებისა და პირუტყველი სიამოვნების მეტს ის ცხოვრებაში არაფერს არ ეძებს; ადამიანი მის თვალში მხოლოდ

*) იხ. „კვალი“ № 49.

უბრალო საშუალებაა მისი საკუთარი ბედნიერების განსახორციელებლათ და საკუთარი მდებარე ნეტარების მოსაპოვებლათ; ის წარბ შეუხრებლათ არღვევს ოჯახის სიწმინდეს, ქალწულის უმანკობას,—მისთვის არ არსებობს არც პატიოსნება, არც ზნეობა, არც სინდისი, არც სირცხვილი—არსებობს ერთი ერთი საკუთარი ბედნიერება, რომელსაც ის მხოლოდ პირუტყვეულ სიამოვნებაში ხედავს; მთავრობას ის დიდის ნეტარებით შეხარის; იმიტომ კი არა, რომ მას ხალხისათვის შეტყობდეს გული, მისთვის ზრუნვა, მისი ცხოვრების გაუმჯობესება წადდეს, არა—მისი სიხარულის სარჩული სულ სხვაა: როგორც მთავარს, მას ყველაზე მეტი უფლება ექნება სამთავროში, თითქმის თვითმპყრობელი იქნება და ამით ფართო გზა ექნება განსწილი ყოველგვარი სისამაგლისაკენ, რომელსაც კი მისი გარყვნილი ბუნება და გემოვნება მოითხოვს. ამიტომაც გენუის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს უნდა, თავიდან მოიშოროს დორიები, მათი მმართველობა დაამხოს და გენუის დამოუკიდებლობა—რესპუბლიკანური მთავრობა გამოაცხადოს. გენუის საზოგადოების ამ ნაწილის სული და გული არის ახალგაზრდა ფიესკო. ფიესკო ყოველისფრით დაუჯილდოვებია ბუნებას: ის არის მეტათ ლამაზი, ნიჭიერი, გულადი, პირდაპირი, მდიდარი და გავლენიანი პირი გენუაში; მას ყველა პატივსაცემს, მას ყველა უხვევს, ხალხს ის უყვარს. გენუის განმათავისუფლებლებს ყველაზე მეტი იმედი ფიესკოსი აქვთ; ფიესკოს უნდა გენუის განთავისუფლება, ის დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მას შეუძლია დორიების მმართველობის დამხობა. მაგრამ ფიესკო დაახლოებულია სასახლესთან, მას კარგათ იცნობს როგორც მოხუცი დორია, ისე ჯანეტინო, რის გამო ადვილათ შეიძლება მისი განზრახვა შეუტყონ. სხვების თვალების ასახვევით ფიესკო მიმართავს შემდეგ ხერხს: ის მიყოფს ხელს ქეიფს, ლოკოს და არშიყობას, პოლიტიკას სხვების შესახებდავით სრულით ანებებს თვალს, ქალების მეტი მას თითქოს აღარაფერი აღარ აინტერესებს ქვეყნათ; ფარულათ კი ის აღელვებს ხალხს, კრფავს თავის მომხრეებს, იწვევს უცხო ქვეყნებიდან ჯარს, ხომალდებს და სხვ. მტრებს—დორიების მომხრეებს-ფიესკოსი აღარ ეშინიათ, რესპუბლიკის მომხრეები კი ფიესკოს იგლოვენ. ბუკვე დადგა ისეთი მომენტი, როდესაც ხალხის აღელვებამ უმწვევრვალეს მიზანს მიაღწია; საკმაოა, გაჩნდეს მარჯვე მეთაური, რომ ხალხი აჯანყდეს. ფიესკო უცვბ მოუყრის თავს თავის მეგობრებს, შეატყობიებს მათ საქმის ნამდვილ გარემოებას, წაუძღვება წინ მემამობეებს და დესხმის თავს დორიებს; ჯანეტინოს კლავენ, მოხუცი დორია კი ქალაქიდან იბარება და ამით გადაურჩება სიკვდილს. მაგრამ გენუის განმათავისუფლებელი ფიესკო—თანისი საუკეთესო მეგობრის ხელით კვდება. რა არის ამის მიზეზი? ერთი მემამობეთაგანი—ვერონა, რწმუნდება, რომ ფიესკოს თვითონ უნდა გენუის მთავრობა; ის ხედავს, რომ ხალხი ფიესკოს მხარეზეა; მან კარგათ იცის, რომ ფიესკო მეტის მეტი ამაყი და თავმოყვარეა; მთავრობა მას კიდევ უფრო გაამედიდურებს და ანგვართ ამბოხებასა და სისხლის ღვრას გენუის განთავისუფლება და რესპუბლიკა კი არ მოყვება შედეგათ, არამედ მტარვალის დორიას ალაგზე უარესი მტარვალის-ფიესკოს წამოსკუბება. ვერონა ამჯობინებს საყვარელი მეგობრის მოკვლას და გენუის განთავისუფლების შემდეგ ფიესკოს ზღვაში გადაუძახებს.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორ! უმარბილესათ გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმონ თქვენი გაზეთის უმასლობედად წარმოდგენილ „ივერიის“ 257 №-ში მოთავსებულად გამოქვეყნებულ წერილს. „ინის“ საკრესპონდენტი მოგვითხრობს, რომ 24 ნოემბერს ბოქაულის ოქრობიარბის წინადადებით შეკრება სოხელი საზოგადოება და დაადგინა გახსნას საზოგადო აფთიაქი, რომელიც წლიურათ 2,000—3,000 მან. წმინდა შემოსავლს მიცემს სონეებს. „ვის იცოდა თუ, მაუხედავად აშდენა სიკეთისა, (2,000 მან. წლიური შემოსავლით დაკმაყოფილდება ბუკრი უსაქიროესი მოსოფენილება სოხელი საზოგადოებისა და ეს, რასაკვირველია, დიდი სიკეთეს) ამ საქმესაც გამოუხინდებოდა მოწინააღმდეგე. მოწინააღმდეგეები კი გამოხინდენ და მერმე იქიდან, საიდანაც არ მოგველოდით.—ბ. ივ. შარშიძე და ქეიმი ბ. კიკალიშვილი“—ო, ამბობს ბ. „ინის“, და თავის სიტყვების დასამტკიცებლათ შემდეგს გვიამბობს: „ბ. კიკალიშვილი კი მოვიდა ურდობაზე, როდესაც საქმი იოლოვდებოდა. იმან მიმართა საზოგადოებას-სინქართო მოქმედებთო, აფთიაქა სარკებლობას არ მოუტანს ხალხსო“ და სხვ... გაკვადნიერდებით და დავეკითხებით ბ. „ინის“, თითონ დაეწრო კრებას და გაიგონა ეგ ჩვენს სიტყვები, თუ ვინმე სსკამ გადასცა მას? ზირკულ შემთხვევაში მისთვის სძენას უღალატნია, ხოლო მეორეში—ქონა გამოუქვეყნების „ივერიის“ ფურცლებზე. ჩვენ საჭარათ გაცხადებთ, რომ ბ. „ინის“ უკანსენელი სიტყვები ჩვენ შესახებ მტკნარი სინტრუა, რომ ეგ სიტყვები ან მისი საკუთარი ფანტაზიის ნყოფაა, ან და ქუხაზე შეკრებილი სმუბი. 24 ნოემბერს მომხდარ კრებაზე ჩვენ საზოგადოებასთან აფთიაქის გახსნის შესახებ დახარაკი არ გვექმნია, რადგან ჩვენ მისვლამდინ განახინიც დადგენილი იყო და კომისიაც ამოჩნეული. ჩვენ მსოფლიათ დავეკითხეთ ბოქაულ ოქრობიარბებს, რა ზირობით უნდა გაიხსნას საზოგადო აფთიაქითქო, და როდესაც იმან გვიბასუხა—საზოგადოება აიღებს აფთიაქის გახსნის ნებას, და ამ ნებას გადასცემს რომელიმე ზრფოზოარს წელაწადში 2,000 მანეთათო,— ჩვენ უკვე გამოავცხადეთ ამ კარათ საქმის განხორციელებაში. „რომ ამ პირობებით აფთიაქს ვაგხსნიდეთ, დიდი ბედნიერება იქნება, მაგრამ საეჭვოა“, ვთქვით ჩვენ; „მე ეს საქმე წინელაც მაინტერესებდა, ამის შესახებ საჭირო ცნობები შევკრიბე და ვავიგე, რომ მთავრობა მხოლოდ მაშინ მისცემს საზოგადოებას აფთიაქის გახსნის ნებას, თუ საზოგადოება თვითონ აწარმოებს აფთიაქს და არა წევრს წამალს არ მიუყიდის, (ეს ცნობები ჩვენ მოგაწვოდა გუბერნიის ექიმის თანაშემწემ, ბ. გარნავსკიმ). ყოველ შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე და საქმის რიგიანად ვაგება“, დაგებოლაკეთ ჩვენ და დავებუნდით უკან. რომ ეს და მხოლოდ ეს იყო ჩვენ მიერ ნათქვამი, ამის დასამწმუბს თვით ბოქაული ბ. ოქრობიარბი, რომელთანაც ჩვენ გვექმნა დახარაკი. ნუ თუ საზოგადო საქმეში გაფრთხილება, საქმისათვის საჭირო ცნობების მიწოდება საზოგადო საქმის დალატს, წინააღმდეგობას ნაშნავს? სად არის აქ ლოდია, სად არის სადი გონება? და თუ ერთზედაც და მეორეზედაც ბ. „ინის“ მწყირათ არის, რათ კისრულბოს გაზეთის კარესპონდენტობას? ან იქნება ბ. „ინის“ გონია, რომ გაზეთი სალაებო მოედნაა, სადაც ტუელი და მართალი, საფუძვლიანი და უსაფუძვლო აზრების გამოქვეყნება შეიძლება? გუარჩევთ ბ. „ინის“ უკრურობით დაჯავს და შეისწავლოს ზრესის მნიშვნელობა. თუ იგი ჩვენ რჩევას შეასრულებს, გაიგებს, რომ ზრესა წმიდათა წმიდაა, რომ ბუკალითო სიტყვის მოღვაწისათვის უზირკველსათ საჭიროა სიფრთხილე და კეთილსინდისიერება, შემდეგ ცდაც და მომზადება; ამ ტუშმაკიტების შეკნებას შემდეგ შეთხზულ ამბებას გაზეთში გამოქვეყნებას უთუოდ თავს დაუქებებს.

ექიმი ბ. კიკალიშვილი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

იოსებ იმედაშვილის გამომცემად, № 21.

მ. გ. მ. რ. კ. ი. ს.

12 მოთხრობა, ავტ. გომართლის კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილით. ფასი 60 კაპ. იყიდება გამომცემელთან (თფლისში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ფოსტის ადრესით: თიფლისი, Книж. Торг. Юс. Зах. Имедашвили. აქვე იყიდება მიხევე გამომცემა № 22. **კაცი ვაჟ და შუღი მხურავს**, კომედია სამ მოქ. ივ. რვე. ვაჩნაძისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ აცხადებს საყოველთაოთ, რომ ყვირას 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

ბანსახილველი სახეები:

- 1) წარსული წლის ანგარიში, 2) სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 1902/3 წლისა, 3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ, 4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამი წევრისა, 5) მოხსენება შესახებ ქართული წარმოდგენების მართვისა პროვინციებში, 6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა, 7) მოხსენება შესახებ დასის მთელი წლით შენახვისა, 8) არჩევანი საზოგადოების ახალი წევრებისა.

რედაქტ.-გამომც. სხ. თ.-წერეთლისა.

При каждом №, независимо от других приложений, подписчики получают по одной книжкѣ. а новые подписчики, выписывающіе также (за 1 р. 50 к., съ перес. 2 р.) первые 12 томовъ соч. Лѣскова, получают ихъ при первомъ номерѣ за 1903 г.

ОТКРЫТА ОДПСКА НА 1903 ГОДЪ (34-й годъ изданія) на ежен. иллюстрированный ЖУРНАЛЪ со многими приложениями

НИВА.

Гг. подписчики „НИВЫ“ получают въ теченіе 1903 года:

52 №№ художественно-литературнаго журнала «НИВА», заключающаго въ себѣ въ теченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и художественныхъ снимковъ
40 ТОМОВЪ «Сборника Нивы» (каждый отъ 10—15 листовъ въ общемъ около 9000 страницъ), содержащихъ:

ПОЛНОЕ СОБРАНИЕ СОЧИНЕНІЙ ВЪ 16 ТОМАХЪ **АНТ. П. ЧЕХОВА**

(цѣна въ отдѣльн. продажѣ 17 р. 50 к.), которое будетъ отпечатано четкимъ шрифтомъ на хорошо-глазированной бумагѣ и будетъ выдано въ теченіе 1-го 1903 г.

и ОСТАЛЬНЫЕ 24 ТОМА **Н. С. ЛѢКОВА** ПОЛНАГО СОБРАНИЯ СОЧИНЕНІЙ

(цѣна въ отдѣльной продажѣ 17 р.), значительно дополненаго многими произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія, въ томъ числѣ: По поводу „Нрейцеревой сонаты“, „Мелочи архіерейской жизни“, „Расточитель“ и друг.

„Ежемесяч. литератур. и популярно-научн. приложений“, содержащихъ романы, повѣсти, рассказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библиографіи, музыки, смѣсь, шахматовъ и шашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 200 столбцовъ текста съ иллюстраціями.

12 №№ «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ», выходящихъ ежемесячно. До 200 столбцовъ текста и 300 модн. гравюръ. Съ почтовымъ ящикомъ для отвѣтовъ на разнообраз. вопр. подписчиковъ.

12 ЛИСТОВЪ

рисунковъ (около 300) для пильныхъ работъ и для тежей выкройки въ натуральную выходящихъ ежемесячно.

1 „Стѣнной календарь“ на 1903 г., отпеч. въ 9 красокъ. ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложениями безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 р. 50 к. 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—7 р. 25 к., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «ОБРАЗОВАНИЕ» (Ришельевск. № 12)—7 р. 50 к. Съ доставкой въ С.-Петербургѣ—7 р. 50 к. СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ ВО ВСѢ МѢСТА ГОРОДА и МѢСТНОСТИ РОССИИ 8 руб. За границу 12 руб.

Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока.

Новые подписчики, желающіе получить, кромѣ «Нивы» 1903 г. со всѣми приложениями,—еще первые

12 ТОМОВЪ

полнаго собранія соч. ЛѢСКОВА, приложенные при «Нивѣ» въ 1902 г., доплативаютъ одновременно при подпискѣ: безъ доставки въ СПБ. 1 р. 50 к.; безъ дост. въ Москвѣ и Одессѣ 1 р. 75 к. Съ дост. въ СПб. и съ перес. иногороднымъ и за границу—2 р., такъ что подписная цѣна составитъ:

Безъ доставки 1) въ С.-Петербургѣ—8 р., въ Москвѣ у Н. Печковской—9 р., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «Образование»—9 р. 25 к. Съ доставкою въ С.-Петербургѣ—9 р. 50 к., съ перес. во всѣ мѣста Россіи—10 р. и за грар.—14 р.

Требованія просить адресовать: въ С.-Петербургѣ, въ Главную Контору журнала «НИВА» (А. Ф. МАРКСУ), улица Гоголя (бывш. М. Морская), д. № 22.

РУССКОЕ БОГАТСТВО

ИЗДАВАЕМОЕ

В. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ, Баскова ул., 9; Москва, Никитскія ворота, д. Гагарина.—При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается подписка на полгода съ уплатой 5 р.—Книжные магазины, библиотеки, земскіе склады и потребительныя общества могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годоваго экземпляра. Подписка на полгода отъ нихъ не принимается.

Въ контору журнала „Русское Богатство“ [Сиб., уг. Спасской д. Басковой ул. д. 1—9] поступили въ продажу **Сочиненія Глѣба Успенскаго** въ трехъ томахъ, съ портретомъ автора и вступительной статьей **Н. К. Михайловскаго**. Изданіе Ф. Ф. Павленкова 1897 и 1898 г. Цѣна каждаго тома 1 р. 50 коп. Уступка 20 0/0. Пересылка на счетъ покупателей—посылкой, бандеролью или товаромъ большой скорости.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

« НА »

ежедневную газету политики, литературы и общественной ЖИЗНИ

КУРЬЕРЪ

НА 1903 ГОДЪ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на годъ 8 р. на 3 мѣс. 2 р. на 2 мѣс. 1 р. 40 к. на 1 мѣс. 75 коп.

Для учащихъ въ высшихъ учебн. заведеніяхъ на 1 м. 60 к.

Переходъ изъ годовыхъ подписчиковъ по разсрочкѣ въ полугодовые или на другіе сроки не допускается.

Прежніе подписчики, при возобновленіи подписки, благоволятъ прилагать бандероль, подъ которой они уже получали газету.